# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 3 თებერვალი 2001 №17 (1290) | ფასი 50 თეთრი


## ასპროცენტიანი ამბავი

# დინამო პოლიციას ჩაბარდა

გადაწყდა. თბილისის „დინამოს“ დღეიდან ერთი პატრონი ჰყავს — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო. წილი ასპროცენტიანია, არც „დინამოს“ ამჟამინდელი მწვრთნელი და მისი მეგობრები, არც არავინ სხვა — ქვეყნის ათგზის ჩემპიონისა და აწ შეჭირვებული გუნდის პატრონი სპორტსაზოგადოება „დინამოა“, რომლის თავმჯდომარეც შს მინისტრი კახა თარგამაძეა.

ეს გუშინ, საქართველოს პრეზიდენტთან თათბირის შემდეგ გაცხადდა — თბილისის „დინამო“ შინაგან საქმეთა სამინისტროსი გახდა.

მძიმე ტვირთი დააწვა პოლიციას, ისედაც ბიუჯეტშემცირებულ სამინისტროს ვალებში ჩაფლული „დინამოც“ დაემატა. პოლიციასვე მოუწევს იმ ვალის გადახდა, რომელიც „დინამოს“ „მრეტებისა“, რამდენიმე ქართული ბანკისა და სხვადასხვა ორგანიზაციებისა მართებს. ჯამში კი ეს თანხა ერთობ სოლიდურია.

დღეიდან კი „დინამოს“ მომავალი შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასაწყვეტია. გუნდი პოლიციელების ხელშია, მათი ნებაა ისიც, მწვრთნელად ისევ არველაძე დარჩება თუ სხვას მიიწვევენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კი კლუბის მენილე რევაზ არველაძე და მის მეგობრები ეგონათ. თურმე ხელისუფლება სხვაგვარად ფიქრობდა, არც ერთი პროცენტი მწვრთნელსა და მეგობრებს, ყველაფერი — „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს.



# თებერვალი დადგაო, კახას ჯერიც დადგაო

## ქალაქ მილანის დაცვის და ყურადღების ცენტრში



ხვალ მილანელი კახა კალაძე „სან სიროზე“ „რეჯინას“ დაუპირისპირდება

საქართველოს ნაკრების და იტალიური „მილანის“ 23 წლის მცველი კახა კალაძე კვირას სერია A-ს მეჩვიდმეტე ტურის მატჩში „რეჯინას“ დაუპირისპირდება.

ხვალ ქართველი პირველად ითამაშებს მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში. ამას სააგენტო „როიტერის“ მილანიდან მოსული გუშინდელი ცნობაც ადასტურებს: „ექვს მატჩში ერთადერთი მოგებით „მილანს“ ტემპი დაუვარდა, მაგრამ ქართველი კახა კალაძის შემატებამ დაცვაში ხვრელები უნდა ამოავსოს. დაცვის ცენტრში კალაძე გაძევებულ ალესანდრო კოსტაკურტას შეცვლის, ფედერიკო ჯუნტი კი ასევე ერთი მატჩით დისკვალიფიცირებული დემეტრიო ალბერტინის ადგილზე ითამაშებს“.

„მილანის“ ქართველი დებიუტანტი მსოფლიოს პრესის ყურადღების ცენტრშია. გუშინდელმა „გაძეტა დელო სპორტმა“ კიევი „დინამოდან“ ახალშეძენილ ჩვენებურს პირველი გვერდი დაუთმო. რუსულმა „სპორტ ექსპრესმა“ კი კალაძეს მილანელი კორესპონდენტის ვრცელი რეპორტაჟი უძღვნა, რომელსაც დღევანდელი „სარბიელის“ მესამე გვერდზე წაიკითხავთ.

16 მატჩიდან 24 ქულით მეექვსე ადგილზე მყოფი „მილანი“ ლიგის ბოლოსწინა გუნდს, „რეჯინას“ ეთამაშება.

შეხვედრა „სან სიროს“ სტადიონზე შედგება და თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

სხვათა შორის, „სან სიროზე“, თავად „მილანის“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში კალაძეს აქამდეც უთამაშია და თანაც ორჯერ. პირველ შეხვედრაში, ორი წლის წინ, 1999 წლის 10 თებერვალს რომ გაიმართა და 1:2 დასრულდა, უკრაინელებმა ბოლო წუთზე სწორედ კახას გატანილი საჯარიმოთი გაიმარჯვეს.

European Nations Cup / Championnat Européen des Nations

# გათელეთ ტიტები!

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

NRB Nederlandse Rugby Bond

## ჰოლანდია - საქართველო

ამსტერდამი. რაგბის ეროვნული ცენტრი. 15.00 საათი

ხვალ, თბილისის დროით საღამოს ექვს საათზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალისკენ მიმავალ რთულ და გრძელ გზას შეუდგება. „ევროპის ერთა თასის“ მეორე გათამაშების პირველ ტურში, რომელიც, იმავდროულად, მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, „ბორჯღალოსნები“ ამსტერდამში შეხვდებიან ჰოლანდიას და იქაური ნაკრების, „ტიტების“ გათელვას შეეცდებიან. აქამდე ქართველებს და ჰოლანდიელებს ორჯერ უთამაშიათ: 1995 წელს კასტრიკუმში „ტიტებმა“ 55:3 იმარჯვეს, ხოლო შარშან „ბორჯღალოსნებმა“ თბილისში 41:6 მოიგეს. მანამდე კი, დღეს „ერთა თასის“ უფროსი ძმის, ევროპული რაგბის უმთავრესი შეჯიბრების, ელიტარული „ექვსი ერის“ გათამაშება იწყება.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




2000 წლის 19 მარტი. თბილისი. საქართველო — ჰოლანდია 41:6.
ილო ზედგენიძემ „ტიტებს“ მორიგი ლელო გაუტანა

ბადრი ქეთიშვილის ფოტო

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 31 იანვარი - 1 თებერვალი

## A ჯგუფი

### ულქერი 102:71 რაანანა

ულქერი: აჩიკი, ერდენაი (11), ერდოგანი, გოლიოვიჩი (18), გონლუმი (6), გიულერი, ჰენდლოგტენი (19), ლოლისი (15), ფაჩულია (12 წუთი, 11 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), პერსევო, სარიჯა (9), ილდირიმი (19)
რაანანა: ბენ დავიდი, კოენი (6), გუდესი (5), გრინი, იცხაკი (7), კანტორი (12), სელტერსი (16), სავანოვიჩი (4), სტანოევიჩი (21)

### ალბა 73:79 სპლიტი

ალბა: ალექსისი (9), გარისი, კოტუროვიჩი (16), ლუტკე (4), ოზთურქი (7), პაპიჩი, პეშიჩი (5), ფელპსი (26), როდლი (6)
სპლიტი: ბადჟიმი (2), გრეგოვი (9), გრგურევიჩი (11), ლენდი (15), პოლიაკი (2), რენჩერი (15), სუბოტიჩი, ვუიჩიჩი (16), ჟიჟიჩი (9)

### სიენა 76:78 ცსკა

სიენა: ალბერტი (5), ბუსკა (2), კიაჩიგი (7), ბ. ევანსი (5), გორენცი (20), გრეი (11), პესინა, როუენი (13), სკარონე (13)
ცსკა: ალანოვიჩი (11), ალექსეევი (2), დომანი (1), ეინიკისი (11), ფეტისოვი (6), კირილენკო (16), კუდელინი (10), ლარუ (3), პეტრენკო (18)

### ცეპტერი 62:76 პანათინაიკოსი

ცეპტერი: ავლიაში (13), კოსციუკი (1), მაქნაული (6), მიგლინიეკსი (6), ტომჩიკი (6), ვოიციკი (14), ზიელინსკი (16)
პანათინაიკოსი: ალვერტისი (15), ბალოიანისი (11), ბოდიროგა (22), ბერკი (2), ჯენტილე (3), კალაიძისი, კოხი, დ. მიდლტონი (6), რებრაჩა (5), როჯერსი (12)

### ლიეტუვოს რიტასი 80:81 ვილერბანი

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (20), გედრაიტისი (21), იარუტისი, ა. იავტოკასი (12), რ. იავტოკასი (6), კაზლაუსკასი (9), მასიაუსკასი (2), შესტოკასი (1), შიშკაუსკასი (9), სლეზასი
ვილერბანი: ბილბა (5), ბლომი (2), ედვარდსი (14), ფრიგუ (16), ჰოფმანი (2), პაშუტინი (8), პლუვი (24), სკიარა (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 937:881 | 21 |
| პანათინაიკოსი | 12 | 9 | 3 | 970:879 | 21 |
| ულქერი | 12 | 8 | 4 | 983:910 | 20 |
| სპლიტი | 12 | 7 | 5 | 895:879 | 19 |
| ცეპტერი | 12 | 6 | 6 | 958:941 | 18 |
| ვილერბანი | 12 | 6 | 6 | 926:930 | 18 |
| ალბა | 12 | 5 | 7 | 952:947 | 17 |
| სიენა | 12 | 4 | 8 | 914:975 | 16 |
| ლიეტ. რიტასი | 12 | 3 | 9 | 977:1043 | 15 |
| რაანანა | 12 | 3 | 9 | 863:990 | 15 |

## B ჯგუფი

### მაკაბი 96:79 ოსტენდე

მაკაბი: ბრისკერი, ბურშტეინი (2), ჩურჩიჩი (13), ჰენფელდი (8), ჰაფმანი (22), მაკდონალდი (18), პარკერი (19), შარფი (7), შელეფი (7)
ოსტენდე: ბეგინი, ბიგსი (16), დე ბელი (6), დოილი (13), ჰოლდენი (18), კულამი (2), პეჰკა (2), პრაშკევიჩუსი (19), ვან დენ შპიგელი (3)

### კრკა 78:79 პარტიზანი

კრკა: ანზულოვიჩი (5), არაპოვიჩი (3), კორტნი (26), დევისონი (12), დონჩიჩი (2), დ. დრობნიაკი (4), გრუმი (15), იევტოვიჩი (1), პეტროვი (10)
პარტიზანი: ბერიჩი (17), ბულატოვიჩი (20), ჩანაკი (7), გლინტიჩი (11), მარკოვიჩი (2), მილისავლიევიჩი (14), პეტროვიჩი (14), ვარდა (1)

### ირაკლისი 92:85 სკავოლინი

ირაკლისი: ხაძივრეტასი (17), დიამანტიდისი (2), ჰუპმანი (2), კარაგუტისი (10), კარასიოვი (3), მარკოპულოსი (10), ნაკიჩი (20), პაპადოპულოსი (21), პაპაიოაკეიმი (7)
სკავოლინი: ბუკერი (21), გიგენა (2), ჯონსონი (21), მაჯოლი (10), მანიფიკო (6), ლ. მიდლტონი (12), ტრაინა (8), ტუშეკი (3), ძანელი (2)

### ბაიერი 69:71 ეფესი

ბაიერი: ბესტი (16), ჩ. ევანსი (6), გაიბი, გისეკი, გნადი (2), ჰანსენი (17), ჰენიაკი (10), ჰაჩისონი (6), ლოხმანჩუკი (12)
ეფესი: ბეშოქი (15), პ. დრობნიაკი (3), მულაომეროვიჩი (12), ოქური (4), ონანი (14), შჩეპანოვიჩი (23), ილმაზი

### პო ორტეზი 86:59 პლანია

პო ორტეზი: დიავი (6), დროზდოვი (5), დიუბო (16), ესტელერი (7), ფოტუ (5), დ. გადუ (5), ლოუსონი (7), მაკკალოფი (14), მურემანი (14), ფ. პიეტრუსი (3), მ. პიეტრუსი
პლანია: ბულანდერი (8), დალინი, ფრედრიკსონი, ლუნდალი (4), ნიკოლასი (10), პარნი (8), პატიეიუნასი (5), პეტერსონი (4), რონდალი, ტომასი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 12 | 10 | 2 | 1084:913 | 22 |
| ეფესი | 12 | 9 | 3 | 989:906 | 21 |
| პარტიზანი | 12 | 8 | 4 | 979:993 | 20 |
| ოსტენდე | 12 | 6 | 6 | 987:1007 | 18 |
| პო ორტეზი | 12 | 6 | 6 | 962:956 | 18 |
| სკავოლინი | 12 | 6 | 6 | 1008:963 | 18 |
| ირაკლისი | 12 | 6 | 6 | 1006:1000 | 18 |
| კრკა | 12 | 4 | 8 | 886:932 | 16 |
| ბაიერი | 12 | 3 | 9 | 1031:1065 | 15 |
| პლანია | 12 | 2 | 10 | 874:1071 | 14 |

AFP ფოტო



პო ორტეზი — პლანია. ჯერი მაკკალოფს პლანიელი ვინსენტს ლუნდალი უფარებს

# ფაჩულია ბურთებს აგდებს, დიდინი კი ზაზას აქებს



პო ორტეზი — პლანია. მიკაელ პიეტრუსმა პლანიელებს ჩაუტენა

**საქართველოს** ნაკრების და სტამბოლის „ულქერის" 16 წლის ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ ახლა უკვე საფუძვლიანად დააჭაშნიკა სუპროლიგა. ქართველი ყმაწვილკაცის გუნდმა მეთორმეტე ტურში ისრაელის „რაანანა" გაანადგურა, ფაჩულიამ კი ამ საქმეში არცთუ მცირე წვლილი შეიტანა.

„ულქერის" მწვრთნელმა მურათ დიდინმა პირველად მეორე მეოთხედში შეუშვა ზაზა მოედანზე, მეოთხე მეოთხედი კი თავიდან ბოლომდე ათამაშა. ფაჩულიამ გაუმართლა დამრიგებელს. მეტოქეს, მართალია გვარიანად ჩამორჩენილს, ხუთი ორქულიანი და ერთი საჯარიმო ჩაუგდო, მატჩის მონაწილეთაგან ყველაზე მეტი, 9 ბურთი მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარებაც მიითვალა. დიდინმაც არ დაუკარგა შეგირდს გარჯა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საგანგებოდ შეაქო ფაჩულია.

თავად მატჩში კი მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო ბრძოლა. ებრაელებმა არაფერი დაუთმეს მასპინძლებს და ათწუთეული ერთადერთი ქულით წააგეს (26:25). მეორე მეოთხედში „ულქერის" ამერიკელები, ბენჯამინ ჰენდლოგტენი და კვადრე ლოლისი აფეთქდნენ და ხუთ წუთში ჯამში 13 ქულა გააკეთეს. შესვენების შემდეგ ჰენდლოგტენმა მეოთხე პერსონალური მიიღო. რაანანელებმა იფიქრეს, ახლა გვეშველაო, მაგრამ ამერიკელის შემცვლელმა ქერემ გონლუმმა მთლად აიწყვიტა: დაცვაში შესანიშნავად ითამაშა და მეტოქე ფარს არ გააკარა. ჰარუნ ერდენაიმ და მილან გოლიოვიჩმა ბლომად ბურთები ჩააგდეს და მესამე მეოთხედის შემდეგ „ულქერი" 75:53 დაწინაურდა. მერე ფაჩულიაც შემოვიდა...

იტალიის ქალაქ სიენაში კი მოსკოვის ცსკა-მ დაუჯერებელი რამ მოახდინა. დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „სიენას" ირლანდიელმა ფორვარდმა რონ როუენმა სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები 7 ქულით, 76:69 დააწინაურა. თითქოსდა წასაგებად განწირული ცსკა ბედს არ შეეგუა, ჯერ ხორვატმა ვლადან ალანოვიჩმა ჩააგდო ორი საჯარიმო, მერე კი ლიტველმა ცენტრმა გინტარას ეინიკისმა — სამქულიანი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დამთავრებამდე ერთი წუთი რჩებოდა, ეინიკისმა ორი საჯარიმო გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ ორმხრივი აცილების სერიალი დაიწყო — კიაჩიგი, პეტრენკო, სკარონე და ეინიკისი რიგ-რიგობით შეცდნენ. თუმცა, ეინიკისის აცილებულ ბურთთან პირველი გაჩნდა არმიელი ანდრეი კირილენკო, ხოლო სიენელი ბორის გორენცი მას ეუხეშა. კირილენკო, საზოგადოდ, საჯარიმოებს უხეიროდ ასრულებს, მაგრამ ამჯერად ნერვები მოითოკა და ორივე სროლა კალათში ჩაუშვა. „სიენას" რამე ხეირიანის გასაკეთებლად დრო აღარ დარჩა.

ვილნიუსის „ლიეტუვოს რიტასის" კაპიტანმა ანდრიუს გედრაიტისმა დიდებულად ითამაშა, ბოლო წამზე სამქულიანიც ჩაუგდო ფრანგულ „ვილერბანს", მაგრამ მისი გუნდი მაინც დამარცხდა. გედრაიტისი ვერ აუვიდა თანაგუნდელთა შეცდომების გამოსწორებას. გადამწყვეტი სროლა კი ვილერბანელმა ლორან სკიარამ შეასრულა — დამთავრებამდე 11 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები 81:77 დააწინაურა.

ბელგრადის „პარტიზანმა" ასევე სამქულიანით გამოგლიჯა გამარჯვება ნოვო მესტოს „კრკას" — დამთავრებამდე სამი წამით ადრე ცენტრმა ალექსანდრ გლინტიჩმა ივაჟკაცა. ლევერკუზენის „ბაიერი" დამთავრებამდე 6,31 წუთით ადრე 65:59 უგებდა სტამბოლის „ეფესს". ორ წუთში გერმანელებს ჯერ ჯონ ბესტი გაუვარდათ ხუთი პერსონალურით, შემდეგ კი სტივენ ჰაჩისონი. ეფესელთა იუგოსლაველმა ვლადო შჩეპანოვიჩმა თავისიანთა ლიდერობა იტვირთა, კარგად შეიფერა ხორვატი თანაგუნდელის დამირ მულაომეროვიჩის პასები და ბაიერელები მშრალზე დატოვა.

დანარჩენმა ლიდერებმა იოლად მოიგეს. თელ ავივის „მაკაბიმ" მშობლიურ „იად ელიაჰუში" გადაუარა ბელგიურ „ოსტენდეს", ხოლო ათენის „პანათინაიკოსმა" ვროცლავში დაამარცხა იქაური „ცეპტერი". ხორვატული „სპლიტი" არ შეუშინდა ბერლინის „ალბას", 6 ათასი მაყურებლით გაჭედილ „მაქს შმელინგ ჰალეს" და გერმანელებს შინ ალიყური აჭამა. ბოლო ორ წუთში სპლიტელებმა სამი სამქულიანი ჩაუგდეს მეტოქეს (ვუიჩიჩი, გრეგოვი, ლენდი). ალბელმა ფელპსმა ასევე შორეული სროლით უპასუხა და ანგარიში ოთხ ქულამდე შეამცირა (73:69), მაგრამ გვიანი იყო: ბერლინელები შეგნებულ ჯარიმებს მიეძალნენ, სპლიტელებმა კი შესაშური სიზუსტით ესროლეს.

**მერაბ რატიშვილი**

# ევროლიგა

მერვედფინალი (ორ მოგებამდე).
პირველი მატჩები. 31 იანვარი - 1 თებერვალი

**ფორტიტუდო 76:64 ციბონა**
**რეალი 91:63 ბუდუჩნოსტი**
**კინდერი 113:70 ესტუდიანტესი**
**პაოკ 75:64 ოლიმპია**
**პერისტერი 79:81 ტაუ**
**ოლიმპიაკოსი 94:92 მიულერი**
**აეკ 69:60 ჟალგირისი**
**ბარსელონა 85:86 ბენეტონი**

*მეორე მატჩები გაიმართება 7-8 თებერვალს*



TELEBASKET

კინდერი — ესტუდიანტესი. რაშარდ გრიფიტს (ბურთით) ესტუდიანტესელებმა ვერაფერი დააკლეს

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შრემპფი დააბრუნეს

1 თებერვალი

**კლივლენდი 81:90 მინესოტა**

**კლივლენდი: გეტლინგი (15)**
**მინესოტა: ბრენდონი (27 ქულა, 6 ჩაჭრა), გარნეტი (18 ქულა, 10 მოხსნა), შჩერბიაკი (16)**

**დალასი 95:91 მაიამი**

(ძირითადი დრო 87:87)

**დალასი: ფინლი (26 ქულა, 11 მოხსნა), ეისლი (17)**
**მაიამი: მეისონი (23), ჰარდევეი (21)**

**ნიუ იორკი 80:87 ფილადელფია**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (27), სპრიუელი (21)**
**ფილადელფია: აივერსონი (31), მაკკი (16)**

**ჰიუსტონი 84:101 კლიპერსი**

**ჰიუსტონი: ტეილორი (16)**
**კლიპერსი: ოდომი (19 ქულა, 10 მოხსნა)**

**იუტა 87:76 შარლოტი**

**იუტა: მარშალი (20), მელოუნი (16)**
**შარლოტი: ვესლი (15)**

**პორტლენდი 100:92 ფინიქსი**

**პორტლენდი: სმიტი (20), ვოლესი (19), სტუდემაიერი (17 ქულა, 10 პასი)**
**ფინიქსი: რობინსონი (42)**

**სიეტლი 97:91 ჩიკაგო**

**სიეტლი: ბეიკერი (22), დევისი (19), ბერი (17 ქულა, 11 პასი)**
**ჩიკაგო: მერსერი (30), ბრენდი (19)**



AP ფოტოქრონიკა

**პორტლენდი — ფინიქსი. დეტლეფ შრემპფი (თეთრ ფორმაში) ფინიქსელი ვინი დელ ნეგროს შეჩერებას ცდილობს**

„დალას მავერიქსმა" ათწლიანი კრიზისი წარსულს ჩააბარა და როგორც იქნა, შეუდგა პლეი ოფისკენ მიმავალ აღმართს. „დალასს" მძლავრი გუნდებით გამოჭედილ დასავლეთ კონფერენციაში ყოფნა არგუნა ბედმა, თუმც ტეხასელებს ყოჩაღად უჭირავთ თავი და იმის დასტურად, რომ მხოლოდ სუსტ გუნდებს არ უგებენ, 1 თებერვალს აღმოსავლეთის ერთ-ერთი რჩეული „მაიამი ჰითი" დაამარცხეს.

„ჩვენ დიდი ხანია, ვისწრაფვოდით იმისკენ, რომ სერიოზული გუნდი გავმხდარიყავით. დღეს შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ მძლავრ გუნდებს არასრული შემადგენლობით ვუგებთ" — ამბობდა ნამატჩევს ტეხასელთა ლიდერი მაიკლ ფინლი, რომელიც წლეულს ზედიზედ მეორედ მიიღებს მონაწილეობას „ოლ სტარში". რაც შეეხება არასრულ შემადგენლობას, ფინლი იქნებ სტივ ნეშსა და დირკ ნოვიცკის გულისხმობდა, რომლებიც იმ დღეს მოედანზე იყვნენ და თითქმის შეუცვლელად ითამაშეს, მაგრამ ერთობ უნაყოფოდ. ნოვიცკის სეზონში მატჩში საშუალოდ 21 ქულა მოაქვს თავისიანებისთვის, თუმც იმ დღეს სროლა არ წაუვიდა, თამაშში 20 ნასროლიდან 15 გააფუჭა და 10 ქულას დასჯერდა. ასეთივე დღეში იყო ნეში. სანამ ეს ორი მიზნის გასწორებას ცდილობდა, მაიამელთა კალათს ფინლი ბომბავდა ეისლისა (17 ქულა) და ლეიტნერის (13 ქულა) მხარდაჭერით. ჯაბანი არც „მაიამია" და მეტოქეებმა ერთმანეთი საფუძვლიანად გააწამეს. თანაბარ ბრძოლაში, თითქმის ქულა-ქულაში გასრულებული პირველი ნახევრის შემდეგ, მესამე მეოთხედში სოლიდური თოთხმეტქულიანი უპირატესობა მოიპოვა „დალასმა", მაგრამ ამ სხვაობის შენარჩუნება გაუჭირდა. „ოლ სტარში" პირველად მოხვედრილმა მაიამელმა ენტონი მეისონმა ბოლო მეოთხედში ნოვიცკი ერთობ დაჩაგრა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე 12 სანტიმეტრით დაბალია. „ოლ სტარს" მიღმა დარჩენილმა ტიმ ჰარდევეიმ კი სტივ ნეშს გააცალა სიქა, ბოლო მეოთხედის უკანასკნელ ცხრა წუთში 13 ქულა გააზერხა, აქედან ცხრა სამქულიანებით. ბოლო წამებზე „დალასი" ბეწვზე გადარჩა. საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე მაიამელმა ედი ჯონსმა ორი საჯარიმოდან ერთი ააცილა, ანგარიში 87:87 გახადა და მოგების შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.

ასეთი შანსი მაიამელთ აღარ ჰქონიათ. ოვერტაიმის დაწყებისთანავე ფინლიმ გარღვევაზე ივარგა, როგორც იქნა, ნოვიცკიმაც გამოიღო ხელი და სამქულიანი ჩააგდო. „დალასი" ხუთი ქულით 92:87 დაწინაურდა და მშვიდად მიიყვანა მატჩი სასურველ ფინალამდე.

1 თებერვალი არც „მაიამის" „მოსისხლე" „ნიუ იორკისთვის" გამოდგა იღბლიანი. „ნიქსი" აღმოსავლეთში სახელგავარდნილ „ფილადელფიას" მასპინძლობდა და 183-სანტიმეტრიან ალენ აივერსონს ვერაფერი მოუხერხა. „ნიუ იორკს" ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დაუბრუნდა ცენტრი მარკუს კემბი, რომელმაც ნიუიორკელებს საგრძნობლად გაუიოლა საქმე ფარქვეშ, 12 ქულა, 9 მოხსნა და 4 დაფარებაც გააზერხა და რაც მთავარია, აჯობა „ფილადელფიას" ცენტრს, მრავალთა აზრით, „ოლ სტარში" შემთხვევით გამძვრალ თეო რეთლიფს. მაგრამ კემბიმ და მისმა თანაგუნდელებმა თუ რამე გააკეთეს, მხოლოდ პირველ ნახევარში. ამ ხანში მასპინძლები ასე თუ ისე აზერხებდნენ აივერსონის შეჩერებას, მაგრამ იშვიათად, რომ ეს მრავალმხრივ ნიჭიერი კალათბურთელი ვინმემ მთლიანად გამოთიშოს თამაშიდან. აივერსონმა პირველი ნახევრის 37:46 წაგების შემდეგ აიწყვიტა და მალე მასპინძელთა ცხრაქულიანი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. მეორე ტაიმში ალენმა 23 ქულა მოინაგრა, ნამატჩევს კი ის თქვა, რაც ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ: „მე ალენ აივერსონი ვარ და ცხოვრებაში მთელი თამაში არ ჩამიგდია. ხოლო თუ პირველ ნახევარში ბევრი ავაცილე, ეს არც არაფერზე მეტყველებს".

მორიგი გამარჯვება მოიპოვა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა", თუმც ამ ბოლო ხანებში წამყვან მოთამაშეთა ტრავმებითა და სხვა დანაკლისებით დაძაბუნებულმა „ფინიქსმა" გვარიანად აწვალა მძლავრი მეტოქე. კლიფორდ რობინსონმა, რომელიც ყოველ სეზონში ერთ დიდებული თამაშს გამოურევს-ხოლმე, პორტლენდური დაცვის კედელში ნაპრალს მიაგნო და საშუალო მანძილიდან ზუსტი სროლებითა თუ ერთფეროვანი გარღვევებით ბევრი საფიქრალი გაუჩინა მასპინძლებს, თუმც ეულად მებრძოლს გარჯაწვალებამ ამაოდ ჩაუარა. დღესდღეობით არც „პორტლენდი" თამაშობს სრული შემადგენლობით — ხან საბონისი იტკივებს ფეხს და ხან რაშიდ ვოლესია დისკვალიფიცირებული. სკოტი პიპენი კი, გარდა იმისა, რომ ასეთი ულიმღამო სეზონი 14-წლიან კარიერაში არ ჰქონია, ახლა ტრავმასაც იშუშებს და კიდევ ორიოდ კვირას ვერ ითამაშებს. რადაგან იგი „ბლეიზერსის" ერთადერთი ნამდვილი ფრთაა, ამ ამპლუაში დეფიციტის აღმოსაფხვრელად „პორტლენდის" მამებმა სეზონის წინ პენსიაზე გასულ მოთამაშეს უხმეს. 36 წლის გერმანელ დეტლეფ შრემპფს ვინ იცის, რა ხანია, ბურთი ხელში არ სჭერია და მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე სუპერვარსკლავი გახლდათ, „ფინიქსთან" უსუსური ბალღივით გამოიყურებოდა. მან მოედანზე 14 წუთი დაჰყო, ქულაც ვერ გააკეთა და ორჯერ ბურთიც მოპარეს.

გვარიანად გაუჭირდა „სიეტლ სუპერსონიქსს" ლიგაში უსუსტესი „ჩიკაგოს" ძლევა. თუმც როგორც „ზებგერითთა" მწვრთნელი ნეიტ მაკმილანი ამბობს, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. „როცა ორ ისეთ მცველს კარგავ, როგორებიც გერი პეიტონი და რუბენ პატერსონი არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ კალათში დამატებით 30 ქულას მიიღებ". პეიტონი პრველივე წუთებზე მუხლმა შეაწუხა და აღარც გამოჩენილა, პატერსონს კი „ჩიკაგოსთან" თამაშით სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაეწყო. ამ ორის არყოფნაში „ზებგერითებს" ბრენტ ბერი წაუძღვა, რომელიც „სიეტლამდე" „ჩიკაგოს" მაისურით ბომბავდა მეტოქეთა კალათს. ლეგენდარული რიკ ბერის ვაჟმა ლიდერობას მშვენივრად გაართვა თავი, ყოფილ გუნდს 11 ქულა ჩაუგდო და ბურთიც რიგიანად ათამაშა.

„ჰიუსტონ როკიტსმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შინ ბევრად ცუდად თამაშობს, ვიდრე გასვლაზე. „რაკეტები" თვით დასავლეთში ყველაზე უკბილო „კლიპერსს" დაეჩაგვრინნენ, მაშინ, როცა ამ უკანასკნელს ბოლო ცხრა მატჩი წაგებული ჰქონდა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

# ბასკოს მეტოქე შეუცვალეს, ჩელენჯ კაპს კი ფორმატი

ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL) მმართველობამ საბოლოოდ დაადგინა თავისივე ჩემპიონატის მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის" სტრუქტურა. NEBL-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ალგიმანტას პავილონისმა ვილნიუსში პრესკონფერენცია მოაწყო და ცვლილებების თაობაზე ილაპარაკა.

მოგეხსენებათ, „ჩელენჯ კაპზე" ბათუმის „ბასკო" მონაწილეობს. ამიტომაც ჯერ იმ ცვლილებებზე, რომელიც ჩვენს ჩემპიონს შეეხება. გეხსომებათ, „ბასკოს" ჯგუფში ორ ბელარუსულ და ერთ ესტონურ გუნდს უნდა ეასპარეზა. ახლა კი საქმე სხვაგვარადაა: A ჯგუფში ბელარუსის „მინსკის" ნაცვლად ესტონეთის დედაქალაქ ტალინის „ნიბიტი" ითამაშებს. ამ ჯგუფის თამაშები, გეგმისამებრ, 16-18 თებერვალს გაიმართება ბათუმში.

ცვლილებებია გათამაშების ფორმატშიც. მეორე ეტაპზე თითოეული ჯგუფის (სულ სამი ჯგუფია, A, B და C) სამ-სამი საუკეთესო გადის. მათ ემატებათ საუკეთესო შედეგის მქონე ერთი მეოთხეადგილოსანი.

მეორე ეტაპზე ამ ათ გუნდს შეუერთდებიან NEBL-ის პირველი დივიზიონის ოთხი მაჩანჩალა (ნაცვლად ექვსისა) და შვედეთ-ფინეთის ლიგის ორი საუკეთესო (ერთი ფინეთიდან, ერთი შვედეთიდან). 16 გუნდი ოთხ ჯგუფად დაიყოფა (D, E, F და G ჯგუფები). აქ გათამაშება წრიული აღარ იქნება — თითოეულ ჯგუფში ორ-ორი წყვილი ითამაშებს და მათში გამარჯვებულები უძლიერესს გამოავლენენ. მეორე ეტაპი მარტში გაიმართება.

ოთხი ჯგუფის საუკეთესოები „ოთხთა ფინალში" ითამაშებენ (გაიმართება აპრილში ან მაისში). D ჯგუფის გამარჯვებული E ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო F ჯგუფისა — G ჯგუფის გამარჯვებულს. მოგებულები „ჩელენჯ კაპის" ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებენ. „ოთხთა ფინალის" მონაწილეები მომავალ სეზონში NEBL-ის პირველ დივიზიონში ითამაშებენ.

**A ჯგუფი**

ბასკო (საქართველო)
დელტა (ესტონეთი)
გროდნო-93 (ბელარუსი)
ნიბიტი (ესტონეთი)

*თამაშები გაიმართება 16-18 თებერვალს ბათუმში*

**B ჯგუფი**

ჰოტრონიცი (ესტონეთი)
ულრიკენი (ნორვეგია)
ვურცბურგი (გერმანია)
ბირმინგემი (ინგლისი)

*თამაშები გაიმართება 17-19 თებერვალს ბერგენში, ნორვეგია*

**C ჯგუფი**

ალიტა (ლიტვა)
გულბენე (ლატვია)
ოდესა (უკრაინა)
სპარტაკი (პეტერბურგი, რუსეთი)

*თამაშები გაიმართება 21-23 თებერვალს ოდესაში, უკრაინა*



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

2 იანვარი

**კოლუმბუსი 2:2 სენტ ლუისი (1:1 1:0 0:1 0:0)**

**1:0 რაიტი 8 (9), 1:1 ნადი 15 (4), 2:1 სანდერსონი 24 (23), 2:2 ტარჯონი 48 (23)**

**მონრეალი 3:0 ბოსტონი (2:0 0:0 1:0)**

**1:0 ლინდენი 5 (10), 2:0 პულინი 13 (5), 3:0 პულინი 60 (6)**

**აილენდერსი 0:2 ფილადელფია (0:0 0:0 0:2)**

**0:1 დესჟარდენი 43 (10), 0:2 რეკი 60 (13)**

**ტორონტო 4:5 ვაშინგტონი (0:1 3:4 1:0)**

**0:1 ზედნიკი 13 (10), 0:2 ბონდრა 24 (28), 1:2 ჰოგლუნდი 25 (17), 2:2 კორსონი 31 (5), 2:3 ბონდრა 33 (29), 2:4 ბონდრა 35 (30), 3:4 ბონიკაროვსკი 36 (1), 3:5 ხრისტიჩი 37 (8), 4:5 სუნდინი 46 (19)**

**კაროლინა 3:1 ატლანტა (0:0 1:0 2:1)**

**1:0 ბრინდამორი 27 (10), 2:0 ჰაჩერი 45 (2), 3:0 გელინასი 46 (18), 3:1 ოდეტი 52 (25)**

**ბუფალო 2:4 ტამპა (0:1 2:2 0:1)**

**0:1 რიჩარდსი 8 (15), 0:2 სენტ ლუისი 22 (9), 1:2 ბარნსი 28 (13), 2:2 გილმორი 29 (3), 2:3 კუდროჩი 37 (1), 2:4 ჯონსონი 56 (10)**

**ჩიკაგო 3:5 კალგარი (1:3 2:1 0:1)**

**1:0 შერპერგერი 4 (6), 1:1 იგინლა 12 (17), 1:2 ლინდსი 13 (1), 1:3 ბიური 16 (15), 2:3 სალივანი 36 (23), 2:4 სტილმენი 37 (20), 3:4 ნილანდერი 40 (16), 3:5 იგინლა 59 (18)**

**ანაჰაიმი 4:2 ფინიქსი (0:0 1:1 3:1)**

**0:1 ბრირი 27 (9), 1:1 ტრეპანიე 34 (3), 2:1 სელიანე 42 (18), 2:2 კ. ლემიე 44 (9), 3:2 სელიანე 51 (19), 4:2 სელიანე 60 (20)**

**დალასი 4:2 სან ხოსე (2:1 1:0 1:1)**

**0:1 სტიუარტი 7 (5), 1:1 მოდანო 13 (16), 2:1 სიდორი 20 (5), 3:1 ლუკოვიჩი 37 (2), 3:2 სანდსტრიომი 44 (7), 4:2 ნიუნდაიკი 45 (19)**

**კოლორადო 3:5 ვანკუვერი (2:0 0:1 1:4)**

**1:0 ნიემინენი 11 (6), 2:0 იელი 18 (4), 2:1 მორისონი 27 (10), 2:2 დრაკენი 44 (12), 3:2 შეიდუკი 48 (30), 3:3 რუუტუ 49 (3), 3:4 სედინი 51 (14), 3:5 შეფერი 60 (12)**

**ნეშვილი 6:4 ლოს ანჯელესი (1:1 1:3 4:0)**

**1:0 ფიცჯერალდი 8 (6), 1:1 რობიტაილი 16 (24), 1:2 ბელანჟე 22 (7), 1:3 სმოლინსკი 22 (17), 1:4 რობიტაილი 25 (25), 2:4 ჰოლდერი 35 (4), 3:4 კლასენი 46 (2), 4:4 დალიჩევიჩი 47 (7), 5:4 იონსონი 55 (9), 6:4 ფიცჯერალდი 60 (7)**



**დალასი — სან ხოსე. დალასელმა ბრენდენ მოროუმ (№10) ერთი დარტყმით წააცალა ჩაფხუტი მეტ ბრედლის**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 18.30 | 003 | კიოლნი-ფრაიბურგი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 004 | კოტბუსი-შალკე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 18.30 | 005 | ბოხუმი-ჰერტა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.15 | 007 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | უნტერჰახინგი-ლევერკუზენი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 20.30 | 009 | ჰანზა-აინტრახტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-20 ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ულმი-მიონხენგლადბახი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 014 | მაინცი-დუისბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | ოსნაბრიუკი-ფიურტი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 18.00 | 016 | ობერჰაუზენი-არმინია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ალემანია-კიკერსი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 018 | ზაარბრიუკენი-ქემნიცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 019 | ზაარბრიუკენი-ქემნიცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**5 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | ზანქტ პაული-როიტლინგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 26-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 021 | ბრედფორდი-ასტონ ვილა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 022 | ქოვენთრი-არსენალი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 19.00 | 023 | დერბი-სანდერლენდი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 024 | იფსვიჩი-ლიდსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 025 | ლესტერი-ჩელსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 026 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 027 | ლივერპული-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 028 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 029 | მანჩესტერი-ევერტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-სიტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 031 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 032 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 30-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 033 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 034 | ბირმინგემი-ნორვიჩი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 035 | ბლექბერნი-ბარნსლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 036 | ბლექბერნი-ბარნსლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 037 | ქრიუ-ბარნლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 038 | კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | გრიმსბი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | ჰადერსფილდი-ნოტინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 041 | პორტსმუთი-პრესტონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 042 | ქუინზ პარკი-ბოლტონი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 19.00 | 043 | უენსდი-უოტფორდი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 044 | სტოკპორტი-ტრანმერი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 045 | ვულვერჰემპტონი-ჯილინგემი | 1,7 | 2,9 | 4,7 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 046 | ფულემი-შეფილდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 047 | ფულემი-შეფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 30-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 049 | ბრისტოლი-სუონსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 050 | ბრისტოლი-სუონსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 051 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 052 | ბერი-პიტერბრო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 053 | კემბრიჯი-ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 054 | ლუტონი-როტერჰემი | 3,3 | 3,2 | 1,9 |
| 19.00 | 055 | მილუოლი-როვერსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 056 | მილუოლი-როვერსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 057 | ნოტსი-ოლდემი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 058 | რედინგი-პორტ ვეილი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 059 | რედინგი-პორტ ვეილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 060 | სტოკი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 061 | უიკომბი-ბრენტფორდი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 062 | რექსემი-სუინდონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 30-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 065 | ბარნეტი-ჩესტერფილდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 066 | ბლეკპული-სკანთორპი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 067 | კარლაილი-კიდერმინსტერი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 068 | ჩელტენემი-ჰალი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 069 | ლეიტონი-ჰალიფაქსი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 070 | მაკლსფილდი-პლიმუთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 071 | შრიუსბერი-ჰართლპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 072 | საუთენდი-ლინკოლნი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 073 | ტორკი-ბრაიტონი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 074 | იორკი-დარლინგტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 075 | ნანტი-პსჟ | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 076 | მარსელი-ოსერი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 077 | ტულუზი-ბორდო | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 078 | გენგამი-ლიონი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 079 | მონაკო-მეცი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 080 | ტრუა-რენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 081 | ბასტია-სედანი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 082 | სენტ ეტიენი-სტრასბური | 1,6 | 3,1 | 5,3 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 083 | ლანსი-ლილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 084 | გენიონი-აიაჩო | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 085 | სოშო-ანჟე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 086 | სოშო-ანჟე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.00 | 087 | ნიცა-ბოვუა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 23.00 | 088 | ლე ავრი-კაენი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 23.00 | 089 | ნანსი-კანი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 090 | მონპელიე-შატორუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 091 | ლავალი-ლე მანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 092 | ვასკეალი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 093 | კრეტეი-ნიმი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 094 | ლორიანი-ნიორი | 1,75 | 2,7 | 4,7 |

### იტალია. სერია A. მე-17 ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 095 | პერუჯა-ვერონა | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.30 | 096 | ატალანტა-იუვენტუსი | 3,4 | 2,9 | 2,1 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 097 | ბარი-ბრეშა | 1,9 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 098 | ბოლონია-ინტერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 099 | ლაციო-ლეჩე | 1,25 | 3,8 | 9,0 |
| 18.00 | 100 | მილანი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 101 | მილანი-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 102 | პარმა-რომა | 2,6 | 2,3 | 2,6 |
| 18.00 | 103 | ვიჩენცა-უდინეზე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 104 | ნაპოლი-ფიორენტინა | 2,9 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია B. 21-ე ტური

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 106 | კალიარი-ტრევიზო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 18.00 | 107 | კიევო-ტერნანა | 1,7 | 2,8 | 5,0 |
| 18.00 | 108 | ჩიტადელა-ვენეცია | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 18.00 | 109 | ემპოლი-პესკარა | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 110 | მონცა-ანკონა | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 18.00 | 111 | რავენა-კროტონე | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 112 | სიენა-ჯენოა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 113 | ტორინო-პისტოიეზე | 1,3 | 3,8 | 8,0 |

**5 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 114 | სამპდორია-სალერნიტანა | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### იტალია. სერია C1/a. 21-ე ტური

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 115 | ალბინოლეფე-არეცო | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 116 | ალესანდრია-სპალ | 2,9 | 2,5 | 2,6 |
| 17.30 | 117 | ბრეშელო-ალძანო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 118 | კარარეზე-ლივორნო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 17.30 | 119 | ლეკო-ლუმეცანე | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 17.30 | 120 | ლუკეზე-კომო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 17.30 | 121 | მოდენა-ჩეზენა | 1,65 | 2,8 | 5,6 |
| 17.30 | 122 | პიზა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 17.30 | 123 | ვარეზე-რეჯანა | 2,0 | 2,5 | 4,0 |

### იტალია. სერია C1/b. 21-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 124 | ლოდიჯანი-სავოია | 2,6 | 2,5 | 2,9 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 125 | ატლეტიკო-მესინა | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 17.30 | 126 | დი სანგრო-ნოჩერინა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 127 | ჯულიანოვა-ტორესი | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 128 | ფერმანა-ბენევენტო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 129 | აკილა-კატანია | 1,85 | 2,6 | 4,4 |
| 17.30 | 130 | პეზარო-ასკოლი | 2,4 | 2,5 | 3,1 |
| 17.30 | 131 | ვიტერბეზე-ფ. ანდრია | 1,8 | 2,6 | 5,0 |

**5 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 132 | აველინო-პალერმო | 2,4 | 2,5 | 3,1 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 133 | ბარსელონა-ბილბაო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 134 | ბარსელონა-ბილბაო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 135 | სოსიედადი-სელტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 136 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 137 | სარაგოსა-რაიო ვალეკანო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 138 | ვილიარეალი-ალავესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 139 | ნუმანსია-ვალიადოლიდი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 140 | რეალი-მალაგა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 141 | რეალი-მალაგა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.00 | 142 | დეპორტივო-რასინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 143 | დეპორტივო-რასინგი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 144 | ლას პალმასი-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23.00 | 145 | მალიორკა-ვალენსია | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 146 | უელვა-ატლეტიკო | 2,1 | 2,8 | 3,3 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 147 | ხეტაფე-უნივერსიდადი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 15.00 | 148 | კომპოსტელა-ფეროლი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 15.00 | 149 | ლეგანესი-ეიბარი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 150 | ელჩე-ბეტისი | 3,3 | 2,8 | 2,2 |
| 20.00 | 151 | ხაენი-ბადახოსი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 20.00 | 152 | ლევანტე-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 20.00 | 153 | სპორტინგი-ტენერიფე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 154 | ალბასეტე-ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 155 | ლეიდა-მურსია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 156 | სევილია-სალამანკა | 1,7 | 2,9 | 4,7 |

**პორტუგალია. I ლიგა. მე-20 ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 159 | გიმარაეში-ალვერკა | 1,85 | 2,9 | 4,0 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 160 | ფარენსე-ვილ ვისენტე | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 161 | ბენფიკა-ლეირია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 162 | ბენფიკა-ლეირია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 163 | ბელენენსეში-ბეირა მარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 164 | ბელენენსეში-ბეირა მარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 165 | კამპომაიორენსე-ავეში | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 166 | მარიტიმუ-სალგეირუში | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 167 | სპორტინგი-ბრაგა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 168 | სპორტინგი-ბრაგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 01.00 | 169 | ფერეირა-პორტუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**პორტუგალია. II ლიგა. მე-20 ტური**
**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 170 | ფელგეირაში-მარკუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 171 | ოვარენსე-ლამაში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 172 | ლეცა-აკადემიკა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 173 | იმორტალი-ფრეამუნდე | 1,9 | 3,1 | 3,3 |
| 19.00 | 174 | ვარზიმი-სეტუბალი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 19.30 | 175 | რიუ ავე-ნავალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 176 | შავეში-მაია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 20.00 | 177 | ნასიონალი-პენაფიელი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 178 | სანტა კლარა-ესპინიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 179 | სანტა კლარა-ესპინიუ 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-20 ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 180 | ჰერენვენი-უტრეხტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 181 | როზენდალი-ვალვაიკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 182 | ტვენტე-ტილბურგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 183 | გრონინგენი-აიაქსი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 17.30 | 184 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 17.30 | 185 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 17.30 | 186 | სიტარდი-გრააფსხაპი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| 20.15 | 187 | სპარტა-პსვ | 5,0 | 3,4 | 1,55 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-19 ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 188 | ვეენდამი-ემენი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 22.00 | 189 | ტელსტარი-ვოლენდამი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 190 | ჰელმონდი-ოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 191 | ზვოლე-კამბური | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 192 | ჰერაკლესი-დორდრეხტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 193 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 22.00 | 194 | მაასტრიხტი-ექსელსიორი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 195 | ვენლო-იგლსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 196 | დან ჰააგი-დენ ბოსხი | 4,0 | 3,1 | 1,8 |

**ბელგია. I დივიზიონი. 21-ე ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 198 | ბეერსხოტი-ლუვიე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 199 | ბეერსხოტი-ლუვიე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 200 | ბევერენი-ლიერსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 201 | ვესტერლო-გენკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 202 | სენტ ტრუიდენი-გენტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.00 | 203 | მეხელენი-ლოკერენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 204 | ბრიუგე-სტანდარდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 205 | ბრიუგე-სტანდარდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 206 | ჰარელბეკე-ანტვერპენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 207 | აალსტი-მუსკრონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**ბელგია. II დივიზიონი. 22-ე ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 208 | გეელი-ლომელი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.30 | 209 | დესელი-ჰეუსდენი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 210 | სერკლი-რუზელარე | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 211 | ინგელმუნსტერი-მონსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 212 | სტრომბეკი-ლიეჟი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 213 | დენდერლეუ-მაასლანდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 214 | ოსტენდე-დაინცე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 215 | ჰეკელგემი-ტურნჰაუტი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 18.00 | 216 | ტინენი-მოლენბეკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**საბერძნეთი. მე-17 ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 217 | ოლიმპიაკოსი-ოფი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 218 | ოლიმპიაკოსი-ოფი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 219 | კალამატა-ქსანთი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 220 | პანაჰაიკი-ირაკლისი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 221 | იონიკოსი-ეთნიკოსი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 19.00 | 222 | პაოკ-იანინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 223 | პაოკ-იანინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 224 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 225 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.00 | 226 | პანილიაკოსი-არისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**5 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 227 | აეკ-ათინაიკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 228 | აეკ-ათინაიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**თურქეთი. მე-19 ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 230 | რიზე-იეთფა | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 15.30 | 231 | დენიზლი-იოზგათი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 232 | ერზურუმი-გალათასარაი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 21.00 | 233 | ბეშიქთაში-ანთალია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 234 | ბეშიქთაში-ანტალია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 235 | ბურსა-ტრაბზონი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 15.30 | 236 | ადანა-გენჩლერბირლიგი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 15.30 | 237 | ქოჯაელი-ანკარაგიუჯიუ | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 238 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,5 | 3,0 | 1,9 |

**შოტლანდია. 27-ე ტური**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.55 | 239 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 240 | რეინჯერსი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 241 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 242 | დანდი იუნაიტედი-სენტ ჯონსტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 243 | კილმარნოკი-მოზერუალი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 244 | სენტ მირენი-დანდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.05 | 245 | ჰართსი-სელტიკი | 4,4 | 3,0 | 1,7 |

**კალათბურთი**
**3 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 808 | ტორონტო-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.00 | 809 | ვაშინგტონი-დენვერი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 810 | კლივლენდი-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 811 | ორლანდო-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 812 | დალასი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 813 | მილუოკი-ინდიანა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.00 | 815 | იუტა-სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.00 | 816 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 07.30 | 817 | კლიპერსი-პორტლენდი | 3,1 | 12,0 | 1,2 |

**4 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 818 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 00.30 | 819 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 03.00 | 820 | ბოსტონი-კლივლენდი | 1,4 | 12,0 | 2,0 |
| 03.00 | 821 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 05.00 | 822 | ფინიქსი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

**5 თებერვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 823 | ფილადელფია-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.00 | 824 | ტორონტო-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 825 | ატლანტა-დალასი | 2,5 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 826 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 05.30 | 827 | სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 828 | სიეტლი-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 07.30 | 829 | კლიპერსი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 2,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ეროვნული ბიბლიოთეკა

HANDBALL 2001

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

# სიკვდილამდე მებრძოლნი დამარცხდნენ

## ოლიმპიური ჩემპიონები კი ფარაონთა რისხვას შეეწირნენ



იუგოსლავია — ესპანეთი. ფერნანდო ერნანდესი (მარცხნივ) და დემეტრიო ლოსანო (№11) იუგოსლაველ ვლადან მატიჩს ბოჭავენ

### საფრანგეთი 26:23 გერმანია

(ძირითადი დრო 22:22)

„გაგვიმართლა, განსაკუთრებით რიჩარდსონის გოლისას. ბურთი როგორ შევარდა კარში, თვალიც ვერ მოვკარი. თამაშის მოხრჩობა პირველ ტაიმშივე შეგვეძლო, მაგრამ ასე არ მოხდა. ჰოდა, თუ გერმანელი მკვდარი არაა, მაშინ იგი მებრძოლია და ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა" — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დანიელ კონსტანტინიმ ნახევარფინალში გასვლის შემდეგ.

მისმა გერმანელმა კოლეგამ ჰეინერ ბრანდმა კი თქვა: „ვულოცავ საფრანგეთს ამ ლამაზ გამარჯვებას და დანიელს მომავალშიც მსგავს წარმატებებს ვუსურვებ. შეიძლებოდა, მატჩი ჩვენს სასარგებლოდაც დასრულებულიყო, მაგრამ ცხოვრება ასეთია. პირველ ტაიმში საკმაოდ გაგვიჭირდა, თუმც ბოლომდე ვიბრძოლეთ და მეტოქეს გავასწარით კიდეც, რაც უმთავრესად ტომას კნორის დამსახურებაა. რიჩარდსონის გოლმა ანგარიში გაათანაბრა, მერე კი..."

და რა გოლი გაიტანა ასეთი მასპინძელთა კაპიტანმა, ორივე გუნდის თავკაცი რომ მასზე საუბრობს? ჯექსონ რიჩარდსონმა ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე შეძლო, ხუთშაბათ საღამოს ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე ფრიცისთვის მეორედ ეჯობნა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, მერე კი...

პირველივე წამებიდან მოყოლებული, ფრანგებმა მოიპოვეს ინიციატივა და ისე დაიწყეს თამაში, როგორც ფავორიტებს შეეფერებოდათ. რიჩარდსონმა ზუსტად ნახევარ წუთში იმარჯვა პირველად და მერე გოლი ძირითადი დროის ბოლომდე აღარ გაუტანია. თუმცა ამაში დამნაშავე ფრიცი უფროა, რომელმაც მას 6 ტყორცნა აუღო.

საფრანგეთი დაცვაში ძალიან კარგად ირჯებოდა და მეტოქეს ტყორცნის შესაძლებლობას თითქმის არ აძლევდა. ხოლო როცა გერმანელთაგან ვინმე ბურთს მაინც გაისროდა, მას „მონპელიეს" აღზრდა მეკარე ტიერი ომეიერი ელობებოდა. მასინძლები შეტევაშიც გაცილებით უკეთ მოქმედებდნენ, ვიდრე პორტუგალიასთან მერვედფინალში. ისინი ბევრს მოძრაობდნენ და რომ არა ფრიცის ოსტატობა, უფრო მეტსაც გაიტანდნენ. ასე კი დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ისინი მხოლოდ 5:3 იგებდნენ.

„ლურჯების" დაცვა შემდეგაც კარგად იცავდა ომეიერს, რომელსაც თითქმის გამოელია საქმე. ანგარიშში სხვაობაც იზრდებოდა (23-ე წუთი, 9:5). ბრანდი სათადარიგოთა სკამიდან ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა, მაგრამ ამით ბევრი რამის გამოსწორება ვერ შეძლო. ტაიმი საფრანგეთმა მოიგო — 11:8.

შესვენებაზე როგორ აანთო ბრანდმა თავისიანები, უცნობია. შეიძლება, უბრალოდ შეახსენა, რომ ისინი გერმანელები და, თანაც, ცოცხლები იყვნენ. ყოველ შემხვევაში, განახლდა თუ არა მატჩი, ფრანგთა უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა. 36-ე წუთზე კი კუნცმა თანასწორობის გოლიც გაიტანა. კონსტანტინიმ ომეიერი ბრუნო მარტინით შეცვალა, რომელმაც მყის გაუშვა დრაგუნსკის ნატყორცნი ბურთი და წინ გერმანია გავიდა. რამდენიმე წუთში მასპინძლები უკვე ორი ბურთით ჩამორჩნენ. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. ნერვების მოთოკვა გაძნელდა და ბრანდის მოადგილემ წითელი ბარათიც დაიმსახურა. ზუსტად ამის შემდეგ კაზალმა შეაგდო, მერე ერთხელაც ივარგა და ანგარიში გათანაბრდა.

ხელბურთელებს წუთიღა რჩებოდათ სათამაშო, როცა შვარცერმა თავისიანები ისევ დააწინაურა. თუმცა რიჩარდსონმა დაუჯერებელი გოლი გაიტანა და ორი დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმიც დაინიშნა, რომელთაგან პირველი 1:1 დასრულდა. მცირე შესვენების შემდეგ გოლიჩმა დააწინაურა საფრანგეთი, მერე ბერტრან ჟილმა ივაჟკაცა, საბოლოო წერტილი კი ანკეტილმა დასვა.

### შვედეთი 34:20 უკრაინა

ვინ შეძლებს, შვედეთს ჩემპიონობაში ხელი შეუშალოს? ალბათ, ვერავინ. უფრო სწორად, ველარავინ, რადგან სტეფან ლოვგრენისა და მისი თანაგუნდელების ტყორცნებს ფინალში კედლივით წინ ვერ აღუდგება მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ლავროვი. თუმც ორი დღეც მოვიცადოთ და ვნახავთ, შეინარჩუნებენ თუ არა სკანდინაველები ორი წლის წინ ეგვიპტეში მოპოვებულ ტიტულს. მანამდე კი უკრაინასთან მათ გასეირნებაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა...

თავიდანვე ნათელი იყო, რომ მერვედფინალში ხორვატიასთან ორი დამატებითი დროს თამაშით მოქანცული სლავები დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ანგარიში ლოვგრენმა გახსნა, რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ თამაშის წარმართვით კმაყოფილდება ხოლმე, ახლა კი ბომბარდირობაც მოისურვა. შვედები ხუთ წუთში უკვე ხუთი ბურთით დაწინაურდნენ (5:0). მათი დაცვის სისტემით (6-0) შეწუხებული უკრაინელები თავდასხმაში ძლიერ შებოჭილნი იყვნენ და 11 წუთში მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხეს (8:2).

ამის მერე მათმა თავკაცმა ცოგანოვმა დაცვაში „იუგოსლავიურ" სისტემას (3-2-1) მიმართა და ცოტა ხანს წარმატებულადაც. მსოფლიოს ჩემპიონებმა სიახლეს თავიდან ალღო ვერ აუღეს და 10 წუთის განმავლობაში გოლიც არ გაუტანიათ, რამაც მეტოქეს ანგარიშში სხვაობის შემცირება შეაძლებინა — 8:6. თუმცა სლავთა ზეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მათი კარის დარაჯის, ბუდკოს გარჯის მიუხედავად, სკანდინაველებმა ტაიმი მაინც ხუთი ბურთით (14:9) მოიგეს.

შესვენების შემდეგ შვედეთმა დაცვა გააძლიერა. უკრაინა კი კლასიკურ 5-1-ს დაუბრუნდა, ოღონდ უკვე აღარაფერი გამოსდიოდა. 39-ე წუთზე ანგარიში 20:13 გახდა. მაგნუს ანდერსონმა და ვრანიესმა ძლიერ გაილაღეს და თითქმის ყველა პოზიციიდან გაიტანეს გოლი. ლოვგრენი და ვისლანდერი ხომ ერთმანეთს უსიტყვოდ უგებდნენ. ბოლო 6 წუთი ჩრდილოევროპელებმა 6:1 მოიგეს და უკრაინა 34:20 გაანადგურეს.

### ეგვიპტე 21:19 რუსეთი

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დიდი სენსაცია ეგვიპტემ მოახდინა. გარდა იმისა, რომ ის პირველი არაევროპული გუნდი გახდა, რომელმაც საუკეთესო ოთხეულში გააღწია, „ფარაონებმა" უბრალოდ ვინმე კი არა, თვით ოლიმპიური ჩემპიონები დაამარცხეს და შვედეთს ფაქტობრივად ჩემპიონობა გაუნაღდეს.

რუსთა მარცხი უპირველესად ისევ მათი ბრალია, რადგან ამ მატჩს ისინი ნამდვილად არასათანადო ყურადღებით მოეკიდნენ და დაისაჯნენ კიდეც. პირველ ტაიმში ორივე გუნდი უამრავ შეცდომას უშვებდა, განსაკუთრებით უხეიროდ და უგერგილოდ სლავები ირჯებოდნენ და მე-14 წუთისთვის მეტოქეზე ორჯერ მეტი გოლიც ჰქონდათ გაშვებული (3:6). „ფარაონები" ძალიან აგრესიულნი იყვნენ, გეგონება, ვინმემ მათი აკლდამების მყუდროება დაარღვიაო. ამის გამო ისინი ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ. მე-16 წუთზე კი მათი მეკარე იბრაჰიმი კოკშაროვის უმოწყალოდ მოცელვისთვის მსაჯებმა წითელი ბარათითაც დაასაჩუქრეს.

სლავები თითქოს განგებ პასიურობდნენ და მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, ძლიერ არ ჩამოვრჩეთო. ამიტომ ტაიმი ეგვიპტემ მოიგო (9:7). შესვენების შემდეგაც იგივე სცენარით გაგრძელდა თამაში და 48-ე წუთზე აფრიკელები 18:14 იყვნენ წინ. აქედან მოყოლებული, პოგორელოვი გამოფხიზლდა და ანგარიში 7 წუთში ფაქტობრივად მარტომ გაათანაბრა. თუმცა მისი დანარჩენი თანაგუნდელები ისევ დაბანგულებივით დაბორიალობდნენ და პოგორელოვიც გაღიწვა. ბოლო წუთებმა ეგვიპტის უპირატესობით ჩაიარა და ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მან მოიპოვა.

### იუგოსლავია 26:24 ესპანეთი

სიდნეის ოლიმპიადაზე განცდილი მარცხისთვის იუგოსლავიამ სრულფასოვანი რევანში აიღო და ესპანეთი საუკეთესო ოთხეულს მიღმა დატოვა. არადა, შეხვედრა ესპანეთმა უკეთ დაიწყო და თავისი კაპიტნის მასიპის წყვილი და დუშებაევის ერთი გოლით უმალ მოწყდა მოწინააღმდეგეს. თუმცა იუგოსლაველებმა, არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო და ანგარიში ზუსტად ორ წუთში გაათანაბრეს. პირინეელთა დაცვას ყველაზე მეტი პრობლემები სკრბიჩმა და ლისიჩიჩმა შეუქმნეს. სლავები ისეთი აღმავლობით თამაშობდნენ, მალე თავად დაწინაურდნენ სამი ბურთით (22-ე წუთზე 10:7). ანგარიში თუ მალევე გათანაბრდა, ეს ყველაზე ნაკლებად ესპანელთა დამსახურებაა, რადგან ერთხანს იუგებს ორწუთიანი გაძევებების გამო მოედანზე სამით ნაკლები ხელბურთელი დარჩათ. თუმც რიცხობრივად გათანაბრდნენ თუ არა, იუგოსლაველებმა სტატუს-კვო ისევ აღადგინეს და ტაიმი 13:10 მოიგეს. შესვენების შემდეგ პირინეელთა თავდასხმა ცოტა აირია, რამდენიმე ბურთი დაიკარგა, ზოგი ტყორცნა ჯორჯიჩმა და სტერბიკმა მოიგერიეს და 20:14. ოღონდ ეს გამარჯვება მაინც არ იყო.

ესპანელთა მეკარე ბარუფეტმაც გამოიდო თავი, კონტრშეტევებზე გარალდამ და ერნანდესმაც იყოჩაღეს და 53-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა (23:22). დროის ერთი მონაკვეთი ლათინებმა 5:0 მოიგეს, მაგრამ იუგოსლავიას აღარ უნდოდა წაგება და ბოლო წუთებში მოედანზე გამოსულმა ბოინოვიჩმა ორი გოლი შეაგდო, რითაც გამარჯვება თავისიანებს დაუბევა.

**გაგი გურული**

2 თებერვალი. პარიზი

**ნახევარფინალი**

**შვედეთი — იუგოსლავია**

**საფრანგეთი — ეგვიპტე**

მატჩები 5-8 ადგილებისთვის

**ესპანეთი — უკრაინა**

**გერმანია — რუსეთი**

3 თებერვალი. პარიზი

**ფინალი**

# ვაი, ივან!

ტოკიო (იაპონია)
PAN PACIFIC OPEN
დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 1,2 მილიონი $

ტოკიოში მიმდინარე პრესტიჟული „პენ პესიფიკ ოუფენზე" ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ ფინალში ჯენიფერ კაპრიატის ორი მელბურნელი მსხვერპლი, მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები — მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი შეხვდებიან.

კაპრიატის მიერ ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გამწარებულ დევენპორტს ის მარცხი ჯერაც ვერ დაუვიწყებია: „ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო, მაგრამ იმედგაცრუება, ალბათ, კიდევ კარგა ხანს დამტანჯავს. ამ მხრივ ტოკიოს ტურნირმა სულზე მომისწრო. ყველაზე მეტად დარბაზში და სწრაფ საფარზე თამაში მიყვარს, ასე რომ, აქ ჩემთვის იდეალური პირობებია".

მეოთხედფინალში ამერიკელის მეტოქე 90-იანების ჩოგბურთის ქალიგამოცანა ივა მაიოლი იყო. 19 წლის ასაკში „როლან გაროსის" მოგების შემდეგ ხორვატმა მთელი თავისი კარიერის ამბიციები დაიკმაყოფილა, ვარჯიში და მუდმივი მოგზაურობა მოყირჭდა და თვალსაწიერიდან დაიკარგა. ახლა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მაღაზე მოსული ივა ნელ-ნელა ძველ ფორმას იბრუნებს და მომდევნო კვირიდან კლასიფიკაციის საუკეთესოთა ორმოცდაათეულშიც ამოყოფს თავს (ოდესღაც ხორვატი მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი იყო).

დევენპორტის წინააღმდეგ თიხნარზე თამაშის ოსტატ მაიოლის, ალბათ, უჯობდა, კორტზე არც გამოსულიყო. ამერიკელმა მეტოქე არ დაინდო, ჩვეულ ჯანიან დარტყმებს 12 ეისიც წაახმარა და ნახევარფინალის საგზური საათზე ნაკლებში გაინაღდა 6:2, 6:0.

„ასე იოლად უკვე იშვიათად თუ დაამარცხებ მეტოქეს, თამაში ყველამ ისწავლა — ცოტა უწყინარი ტყუილი გაურია დევენპორტმა ნათქვამს — არ მინდა, საკუთარი თავის ქებად გამომივიდეს, მაგრამ დღეს მართლა კარგად ვითამაშე, კორტზე ყველაფერი გამომდიოდა".

აი, ლინდსის მთავარ კონკურენტ მარტინა ჰინგისს კი საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, საკუთარ თავზე გაბრაზებულიყო. მასპინძელი აი სუგიამას წინააღმდეგ მეოთხედფინალში იოლ გასეირნებას 20 წლის შვეიცარიელმა თავად გაურია ფათერაკის ელემენტები.

მარტინამ პირველ სეტში მეტოქე აგრესიული თამაშითა და ბადესთან ხშირი მიხტომებით მშრალზე გაანადგურა, მეორეშიც 4:2 დაწინაურდა, როდესაც, თავისივე აღიარებით, ყურადღება გაეფანტა. წვრილთვალა აიმ ამით შესანიშნავად ისარგებლა, ჰინგისს ზედიზედ სამჯერ აართვა მოწოდება და საერთო ანგარიში გაათანაბრა.

შვეიცარიელმა ერთი-ორჯერ თავში კი შემოირტყა ხელი, ეს რა მომივიდაო, მაგრამ მერე სწრაფად მოეგო გონს და გათავხედებული მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინა 6:0, 5:7, 6:2. „ასეთი რამ პატარაობიდან მომდგამს. ხანდახან, როდესაც მეტისმეტად იოლად ვიგებ, კონცენტრაციას ველარ ვინარჩუნებ. იმ მომენტში სუგიამაც კარგად ათამაშდა, თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და ამისთვის ქებასაც იმსახურებს".

ჰინგისი წლეულს ზედიზედ მესამე ცდილობს ტოკიოს ტურნირის მოგებას, რაც აქამდე არავის მოუხერხებია. გარდა ამისა, ის 1997 წლის ჩემპიონი და 1998 წლის ფინალისტიც გახლავთ (სადაც დევენპორტთან წააგო): „აქაურობას საკუთარი ხუთი თითივით კარგად ვიცნობ, იაპონიაში ჩამოსვლა ყოველთვის მიხარია. მელბურნში ბოლოს ცოტა გადაღლილად ვგრძნობ თავს, მაგრამ უკვე გადამიარა, ფიზიკურად ასე კარგად მომზადებული არასოდეს ვყოფილვარ".

**მეოთხედფინალი: ანა კურნიკოვა (3, რუსეთი) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 7:6(7:4), 6:2; მაგდალენა მალეევა (8, ბულგარეთი) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:1, 7:6(7:1)**

ბოგოტა.
კოლუმბიის ღია პირველობა. თიხნარი.
საპრიზო 350 ათასი $

**მერვედფინალი: ფერნანდო ვისენტე (2, ესპანეთი) — იგნასიო ირიგუაიენი (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:4); ხუან იგნასიო ჩელა (3, არგენტინა) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 4:6, 7:6(7:3), 6:1; გილერმო კორეა (5, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (ესპანეთი) 6:0, 6:3; მაურისიო ჰადადი (კოლუმბია) — მარკუს ჰენჩე (6, გერმანია) 6:2, 6:2; ანდრეი სტოლიაროვი (7, რუსეთი) — ჰუგო არმანდო (აშშ) 7:6(8:6), 4:6, 6:3; ხუან ალბერტ ვილოკა (ესპანეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:3, 6:4**

მილანის (იტალია) ღია პირველობა.
დარბაზი. ხალიჩა.
საპრიზო 400 ათასი $

მსოფლიოს პირველ ჩოგან მარატ საფინს მილანის ტურნირის მერვედფინალური მატჩის დასრულება, ეტყობა, დიდად არ ეჩქარებოდა. 21 წლის რუსმა, სანამ შეხვედრას წერტილს დაუსვამდა, საკუთარი უხეირობით შვიდი მატჩ-პოინტი გააცუდა.

საფინის მეტოქე მისი თანატოლი, იუნიორობის დროს კარგი შედეგებით გამორჩეული, ახლა კი ჯენიფერ კაპრიატის ბოიფრენდობით ცნობილი ქსავიე მალისი იყო. ამერიკაში მცხოვრებმა, კლასიფიკაციით 124-ე ბელგიელმა, რომელსაც ერთ დროს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, საფინს ამჯერად ბევრი ოფლი აღვრევინა.

ზორბა რუსმა აურაცხელი უნებლიე შეცდომით სავსე მატჩი საშინლად დაიწყო, პირველი სეტი წააგო და მხოლოდ შემდეგ გამოასწორა თამაშის ხარისხი. რის ვაი-ვაგლახით ანგარიშის გათანაბრების მერე საფინმა მხოლოდ მატჩის მიწურულს გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა, გადამწყვეტი სეტის მე-11 გეიმში მოწოდება აართვა და 6:5 დაწინაურდა.

მერე კი დაიწყო, რაც დაიწყო: გამარჯვებიდან ერთ ქულაში აღმოჩენილი რუსი ბურთს ხან ბადეში ახვევდა, ხან აუტში გზავნიდა, ერთხელ კი ბადიდან ერთ მეტრში მყოფმა იოლი სმეშის აცილებაც მოახერხა. ხელების შლითა და მსაჯებთან კამათით გულნაჯერებმა საფინმა მერვე მატჩ-პოინტზეღა გააფორმა მოგება — შესანიშნავად შენიღბულ შემოკლებულს მალისმა თავგანწირული სპურტითაც კი ვერ მიუსწრო — 6:3, 3:6, 7:5.

„ასეთი შეხვედრის შემდეგ ნატრობ, ნეტავ ყველაფერი დამავიწყაო: ძალიან გამიჭირდა, პირველ სეტში კი ისე ვითამაშე, რომ თავად მრცხვენია" — განაცხადა რუსმა, რომელსაც ახლა გრეგ რუზეცკისთან ელის შებმა.

რუზეცკის მეოთხედფინალის საგზური გაცილებით ნაკლები ოფლისღვრით ერგო. ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა მარკ როსემ მასთან მატჩის დასაწყისშივე ზურგის ტრავმა მიიღო და 3:6, 3:1-ზე თამაშს თავი დაანება. „რას იზამ, ეს მოგების იდეალური ვარიანტი არ არის, მაგრამ ვის არ ჰქონია ტრავმები. მოუთმენლად ველი საფინთან შეხვედრას. ჩვენ სულ დაძაბული ორთაბრძოლები გვაქვს" — თქვა რუზეცკიმ.

**მერვედფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ივო ოიბერგერი (შვეიცარია) 6:2, 6:3; როჯერ ფედერერი (7, შვეიცარია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 2:6, 6:3, 6:4; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:2, 7:5; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:3, 7:5; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — მაღალი სიცხის გამო ულირახი მატჩზე არ გამოცხადდა.**

**ავთანდილ სვანიძე**

# გათელეთ ტიტები!

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

## ჰოლანდია - საქართველო

ამსტერდამი. რაგბის ეროვნული ცენტრი. 15.00 საათი



ბადრი ქოთოლარის ფოტო

2000 წლის 19 მარტი. თბილისი. საქართველო — ჰოლანდია 41:6. არჩილ ქავთარაშვილს მატჩის ბოლო ლელო გააქვს

**არგენტინაში,** მარ დელ პლატაში დასრულებულ შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასის ფინალური ტურნირიდან ქართველმა მორაგბეებმა ჰოლანდიას მიაშურეს, სადაც დიდი, 15-კაცა რაგბიში „ევროპის ერთა თასის" მეორე გათამაშების პირველ მატჩს გამართავენ მასპინძელ ჰოლანდიელებთან.

წლევანდელი ტურნირი მისი წინამორბედისაგან განსხვავებით სახეშეცვლილია. იგი ამჯერად ორ წრედ ჩატარდება და იმავდროულად 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი 2002 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს თასის შესარჩევ შეჯიბრში მეოთხე ეტაპიდან ჩაებმება და უფრო სუსტ მეტოქესთან შინ ერთადერთი მატჩის მოგებაც ჰყოფნის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. და კიდევ, შარშან უკონკურსოდ მონაწილე მაროკოს ნაცვლად „ბორჯღალოსნებს" ამ ბოლო დროს საკმაოდ მომძლავრებულ რუსეთის ნაკრებთან ორჯერ მოუწევთ ჭიდილი, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამიერიდან „ერთა თასის" სრულუფლებიანი წევრი იქნება. ეს გადაწყვეტილება შარშან ივნისში, იერუსალიმში გამართულ ევროპული სარაგბო გაერთიანების (აერ) თავყრილობაზე მიიღეს. ასე რომ, კონტინენტის რაგბის მამებმა აფრიკული მაროკო თასიდან დაითხოვეს და რუსეთით შეცვალეს, ბოლო ადგილზე გასული პორტუგალიის ნაკრები კი დაქვეითებას გადაარჩინეს და ამით 2001 წლისთვის წმინდა ევროპული სათასო ექსეული შეადგინეს.

საქართველოს დელეგაცია ამსტერდამის „სხიპჰოლის" აეროპორტში გუშინ ჩაფრინდა და სასტუმრო „ჰაარლემ სუიდში" დაბინავდა. დღეს საღამოს ბორჯღალოსნები ამსტერდამში რაგბის ეროვნულ ცენტრში წაივარჯიშებენ, ხვალ კი იქვე, ჩვენი დროით საღამოს ექვს საათზე, მატჩიც დაიწყება.

საქართველო და ჰოლანდია პირველად 1995 წელს შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მატჩი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ეგიდით ჩატარდა და მის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ „ბორჯღალოსნები" პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამდნენ საერთაშორისო ასპარეზზე და რაგბის სამყაროში ავტორიტეტის მოხვეჭას ცდილობდნენ, „ნარინჯისფერები" კი, როგორც დღეს, არც მაშინ წყვეტდნენ ციდან ვარსკვლავებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალაქ კასტრიკუმში ჩვენებურთა ლაშქრობა მასპინძელთა სრული ტრიუმფით დასრულდა. კასტრიკუმში გამართულ მატჩში ჰოლანდიელებმა ქართველებს ცხრა ლელო გაუტანეს და მათთვის სარეკორდო გამარჯვებას მიაღწიეს — 55:3. თუ ვისი ან რისი ბრალი იყო „ბორჯღალოსანთა" ესოდენ სამარცხვინო მარცხი, ამის ძიება შორს წაგვიყვანს და სჯობია, ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ.

კასტრიკუმული ფიასკოს შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, „ბორჯღალოსნები" ნელ-ნელა, ეტაპობრივად მიიწევდნენ წინ, საფრანგეთში გაჭრილი სატრანსფერო ბაზარი ხომ მისწრება იყო ჩვენი მორაგბეებისათვის და შორს არ იყო ის დღე, როდესაც ისინი ევროპული სარაგბო ელიტას კარზე მიუკაკუნებდნენ. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩვენებურებს ერთი ნაბიჯი დააკლდათ მსოფლიოს თასზე მოსახვედრად. გულხელდაკრეფილნი არც ჩვენი გამამწარებელი ჰოლანდია ყოფილა. მისი ალზევების ხანა „ტიტების" სათავეში ახალზელანდიელი მწვრთნელის, ჯეფ ოულდის მისვლიდან იწყება. 1997-98 წლებში, წინა მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე, „ტიტებმა" შინ ჯერ პოლონეთს 49:7, ხოლო შემდეგ უკრაინას 35:15 სძლიეს, სტუმრად ბელგია დაამარცხეს 19:16 და მხოლოდ ფავორიტ რუმინეთთან ასევე გასვლაზე წააგეს 3:42. შედეგად ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და შესარჩევი ტურნირის მესამე სტადიაზე თამაშის უფლება მოიპოვეს. 1998-99 წლებში, მესამე შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდიის ნაკრები ინგლისში, მასპინძლებთან ასტრონომიული ანგარიშით დამარცხდა 0:100, ამას ოდნავ „მოკრძალებული" წაგება მიაყოლა იტალიასთან 7:67 და „ილბლიანთა ფინალში" ორრაუნდიანი ბრძოლა დათმო აზიის წარმომადგენელ სამხრეთ კორეასთან. მართალია, პირველი შეხვედრა ჰოლანდიელთა სასარგებლოდ დასრულდა 31:30, მაგრამ სტუმრად „ტიტები" 19:78 განადგურდნენ და მსოფლიოს თასის მიღმა აღმოჩნდნენ.

ამის შემდეგ ნაკრების თავკაცი ოულდი გუნდის გადახალისებას შეუდგა. ვეტერანებმა — ივ კუმერმა და მაც მარკერმა ბუცები კედელზე ჩამოკიდეს, ხოლო ახალზელანდიელმა ნიკ ჰოლტენმა, ვისაც ელიტარული „ზე თორმეტიც" დაუჭაშნიკებია ვაიკატოს შემადგენლობაში, ჰოლანდიელებს უგანა და შინისკენ გასწია.

და აი; 2000 წლის 19 მარტი. IRB (რაგბის საერთაშორისო საბჭო) მიერ ორგანიზებულ „ევროპის ერთა თასის" გათამაშება. ტურნირზე სულ ხუთმა გუნდმა მოიყარა თავი: რუმინეთი, საქართველო, ესპანეთი, პორტუგალია და ჰოლანდია ახალდაწესებული თასისთვის საბრძოლველად მოემზადნენ. მაროკოს ნაკრები უკონკურსოდ მონაწილეობდა და მასთან ნათამაშევი მატჩების შედეგი ჯგუფში ქულათა დარიცხვაზე გავლენას არ ახდენდა. საქართველოს ნაკრები, როგორც იცით, საბოლოოდ მესამე იყო, არადა, ბოლო მატჩამდე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ჩვენებურებს თასის მოგება ხელეწიფებოდათ, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში თავიანთ მუდმივ მეტოქესთან, რუმინეთთან ვერაფერი გააწყვეს და ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდნენ. ჰოლანდიამ ბოლოსწინა, მეოთხე პოზიცია დაიკავა. თბილისში კი „ტიტები" 19 მარტს გვეწვივნენ და „ეროვნულზე" გამართულ მატჩში მწარე მარცხიც იგემეს. ქართველები გადამთიელებს „ეროვნულზე" დაუხვდნენ, სადაც „ბორჯღალოსნები" რუმინეთთან იმ ავადსახსენებელ წაგებამდე უძლეველნი იყვნენ.

საქართველოს ნაკრებიც აღარ იყო ის, რაც ხუთი წლის წინ. ახალი მთავარი მწვრთნელი, ახალი ტაქტიკა, გამოცდილება, საფრანგეთის ჩემპიონატში გამოწვრთნილი მორაგბეები და რაც მთავარია, დისციპლინა, რაც „ბორჯღალოსანთა" მთავარმა მესაჭემ, ფრანგმა კლოდ სორელმა მოსვლის დღიდანვე განამტკიცა. ქართველებმა უკვე მეორე წუთზე დაალელოვეს ჰოლანდიელები, არჩილ ქავთარაშვილმა კი საუცხოო ლელოთი წერტილი დაუსვა „ნარინჯისფერთა" განადგურებას. ერთი სიტყვით, თავბრუდამხვევი დასაწყისი და არანაკლებ ეფექტური დასასრული. არც ალიყური დააკლებიათ სტუმრებს, ზედახორის დაშლის შემდეგ ერთ-ორ ჰოლანდიელს თვისტომ დასტაქართა წამლობა მუდამ სჭირდებოდათ, ეგ კი არა, ერთ-ერთ მათგანს სასწრაფო დახმარებამ სულზე მიუსწრო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და იმ საბრალომაც თანაგუნდელებთან ერთად სამშობლოს მიაშურა.

რევანში შედგა! ხალხი ფეხზე დგას და ტაშს უკრავს თავის გმირებს. ქართველებმა დაამტკიცეს, რომ ხუთი წლის წინანდელი მარცხი შემთხვევითობა იყო და სხვა არაფერი. როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველომ მესამე ადგილი დაიკავა, ჰოლანდიამ კი — ბოლოსწინა, მეოთხე. თბილისში სტუმრობამდე „ტიტებს" ჯერ ესპანეთში სტუმრად 8:33, შემდეგ მაროკოში 15:44 და რუმინელებთან შინ 10:39 წააგოთ, მაგრამ ბოლო ტურში პორტუგალიის მინიმალური ანგარიშით ძლევით ამ უკანასკნელის ცხრილში პირადი მოგებით გადაუსწრეს. შარშან აგვისტოში კი ჰოლანდიელთა დამრიგებელი ჯეფ ოულდი გადადგა, მაგრამ დიდხანს უსაქმოდ ყოფნამ არ მოუწია. იგი აშშ-ის რაგბის კავშირის „თამაშის დირექტორად" დაინიშნა. უოულდოდ ჰოლანდიამ ორი მატჩი ითამაშა. ამსტერდამში „ტიტებმა" ევროპაში მოხეტიალე სამხრეთ აფრიკის 23-წლამდე ნაკრებს უმასპინძლეს და საშინლად განადგურდნენ 20:100. ჰოლანდია უმცროს „ქურციკებს" ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდა:

მარტინ ნახტეხაალი, რიკ ლიპსი, კაილ სტრააცი, კრეინ დესხუტერი, ხერარდ ფიხუურსი, ბიორნ ფერფურტი, სეილფესტერ რამაკერი, ვილნუს ფერსტეინენი, რობ ფანდერფენი, პატრიკ ბრუეიმანსი, იუსტ ფანრაპარდი, ნიკო ფანჰირდენი, ანდრე სმიტი, ბას ბოსვინკელი, რუბენ ბეილი.

ერთი თვის შემდეგ ჰოლანდიელები ბელგიას ესტუმრნენ და საშინელ ავდარში გამართული მატჩი 0:8 დათმეს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მისი შემადგენლობა კლოდ სორელმა საშვიდკაცო მსოფლიოს თასის დაწყებამდე დაასახელა, მაგრამ მას შემდეგ ვარჯიშზე დაშავდნენ დავით ბოლღაშვილი და შვიდკაცას ძირითადი მობურთალი მალხაზ ურჯუკაშვილი. თუ ორივე მორაგბე კვირამდე ვერ გამოჯანმრთელდა, საბოლოო შემადგენლობაში მცირედი ცვლილებებია მოსალოდნელი. ბოლღაშვილს, სავარაუდოდ, დავით ცხვედიანი შეცვლის, ურჯუკაშვილს კი — ვეტერანი გარემარბი, „ბორჯღალოსანთა" ყველა დროის საუკეთესო მელელოვე არჩილ ქავთარაშვილი. ცვლილელების გათვალისწინებით საჰოლანდიო შემადგენლობის უახლესი ჩამონათვალი იხილეთ ცხრილში.

**ბაჩო სვანიძე**

| ძირითადი შემადგენლობა |
|---|
| 15. ბესიკ ხამაშურიძე (24 წლის; 12 ბორჯღალი — 1 ლელო) |
| 14. ბადრი ხეხელაშვილი (23; 8-2) |
| 13. გიო ბუგიანიშვილი (27; 10-1) |
| 12. კახა ალანია (28; 10) |
| 11. არჩილ ქავთარაშვილი (29; 18-11) |
| 10. პალიკო ჯიმშელაძე (26; 19 — 6 ლელო, 4 გარდასახვა, 2 საჯარიმო) |
| 9. შოთა მოდებაძე (27; 15 — 1, 4, 13) |
| 8. ილო ზედგენიძე (24; 7-1) |
| 7. გია ლაბაძე (28; 18-2) |
| 6. ვასილ კაცაძე (25; 13-2) |
| 5. სოსო პარწიკანაშვილი (29; 9) |
| 4. ზურაბ მჭედლიშვილი (30; 16-2) |
| 3. ლევან ცაბაძე (28; 19-6) |
| 2. აქვსენტი გიორგაძე (25; 12-3) |
| 1. გოდერძი შველიძე (23; 9-1) |
| სათადარიგონი: |
| 16. ტარიელ რატიანიძე (21; 1) |
| 17. სოსო ნიკოლაენკო (26; 7) |
| 18. ვანო ნადირაძე (29; 14-3) |
| 19. დათო ცხვედიანი (25; 1) |
| 20. ირაკლი აბუსერიძე (24; 6-1) |
| 21. თედო ზიბზიბაძე (21; 4) |
| 22. ვასილ აბაშიძე (23; 8-2) |

„ექვსი ერის" ჩემპიონატი

# ექვსი ერის მეორედ მოსვლა

**დღეს** ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მთავარი სარაგბო ტურნირი იწყება — პირველი „ექვსი ერის პირველობა" ახალ საუკუნეში აიღებს სტარტს. რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩრდილოელი ბობოლები შეებმებიან ერთმანეთს და იმედია, ლამაზი, სანახაობრივი რაგბით დაატკბობენ მაყურებელს.

ტურნირის მთავარ ფავორიტად სპეციალისტები შარშანდელ გამარჯვებულ ინგლისს მიიჩნევენ. ალბიონელებმა შარშან ლამის ისტორიული დიდი სლემი შეასრულეს, მაგრამ ბოლო ტურში მანამდე ყველა თამაშის წამგებ შოტლანდიასთან დამარცხდნენ მარიფილდში და „კალკუტის თასიც" სკოტებს დაუტოვეს. ისტორიული კი იმიტომ ვთქვით, რომ სწორედ შარშან გაერია პირველად იტალია ევროპელ დიდებში და ხუთი ერი ექვსამდე შეავსო.

აზრი ინგლისელთა ფავორიტობის შესახებ საშემოდგომო ტესტების დროს მათმა გამოსვლებმაც განამტკიცა. „ვარდების" თხუთმეტეულმა ისეთ მეტოქეებს ადინა ბღვერი, როგორებიც მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა არიან. „ეს გუნდი უკვე სამ-ოთხი წელია, არ შეცვლილა, ანუ ძალიან შეთამაშებული და ძლიერია" — თქვა საფრანგეთის ნაკრების მენეჯერმა ჟო მაზომ.

წესით და რიგით, სწორედ ინგლის — საფრანგეთის დაპირისპირებაში უნდა გაირკვეს ტურნირის გამარჯვებულის ბედი. 7 აპრილს დანიშნულ შეხვედრას ბევრი უკვე ახლავე ნათლავს შეჯიბრის ფინალად. „მამლები" სიძლიერით მართლაც მეორენი არიან. მათ 1999 წლის მსოფლიოს თასზე ჩინებულად ითამაშეს, თუმცა შარშანდელ „ექვს ერზე" თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს. ორ გასვლით მოგებას და შინ იტალიასთან გაჭირვებით მიღწეულ გამარჯვებას საკუთარ „სტად დე ფრანსზე" ინგლისსა და ირლანდიასთან მარცხი მიაყოლეს და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ. თუმცა შემოდგომაზე მარსელში ახალი ზელანდიის ბრწყინვალედ ძლევით დაამტკიცეს, რომ მაინც მსოფლიოს მოწინავე სარაგბო ერად რჩებიან.

ირლანდიაც და უელსიც არ უნდა ჩამოვწეროთ ნაადრევად. განსაკუთრებით „სამყურები", რომლებიც ორივე უმთავრეს ფავორიტს შინ დაუხვდებიან და იქნებ აჯობონ კიდეც. უელსს კი მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მორაგბე ნილ ჯენკინსი ჰყავს, რომელსაც ნებისმიერი თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

ტურნირის აუტსაიდერებად შოტლანდიასა და იტალიას ასახელებენ, რომლებმაც შარშან მხოლოდ თითო-თითო მატჩი მოიგეს და ბეწვზე გადაურჩნენ მეტად უსიამოვნო პრიზს — „ხის კოვზს". აპენინელებმა პირველ მატჩში სწორედ სკოტებს მოუგეს, რომლებმაც ბოლოს ოთხი ერის ბოლმა ინგლისელებზე გადმოანთხიეს. აუტსაიდერობის მიუხედავად, იტალიის ახალზელანდიელი თავკაცი ბრედ ჯონსტონი იმედიანადაა განწყობილი და მინიმუმ ორ გამარჯვებას გეგმავს, მით უმეტეს, რომ მისი ნაკრები სამ შეხვედრას შინ გამართა.

ახლა ორიოდ სიტყვა ამ უქმეებზე დანიშნულ თამაშებზეც ვთქვათ:

3 თებერვალი

**უელსი — ინგლისი**

პირველი მატჩისთვის მასპინძელთა ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ ზედმეტ რისკს თავი აარიდა და გამოცდილ მორაგბეთა უმრავლესობას უხმო. დამრტყმელად მან, რა თქმა უნდა, ნილ ჯენკინსი შეარჩია, რომელიც ამ ბოლო დროს მხოლოდ ბურთის ძელებს შორის გატარებით არ კმაყოფილდება და თამაშის წარმართვაშიც მეტად მონაწილეობს. სამმეოთხედელთა ცენტრში ჯადოსნურ წყვილს სკოტ გიბსი და მარკ ტეილორი შეადგენენ. ერთადერთი სიახლე მცველად სტივენ ჯონსის გამწესებაა, რომელიც ხელობით გარე ნახევარმცველია.

უელსელებს „მილენიუმის" მსოფლიოს თასისთვის მზადების გამო უკვე რამდენიმე წელია, ინგლისი კარდიფში არ მიუღიათ და ახლა უდიდესი სურვილი აქვთ, დებიუტშივე ჩაუშალონ თავიანთ მთავარ მტერს დიდი სლემის მოპოვების გეგმები. მოგების იმედი აქვთ სტუმრებსაც, რომელთა შერკინებაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და თუ კაპიტანი მარტინ ჯონსონი ცოტა ხნით გამოაკლდა, უელსისას მაინც ალემატება. თანაც, როგორ წესი, ინგლისი ტურნირს ძლიერად იწყებს, თუმცა მას კარგა ხანია, გახსნის მატჩი კარდიფში აღარ ჩაუტარებია.

**იტალია — ირლანდია**

„ძალიან ახალგაზრდული გუნდი მყავს. ჩემს მოთამაშეთა უმეტესობას საკლუბო გამოცდილებაც კი აკლია, სანაკრებოზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამის მიუხედავად, ვგონებ, პირველივე თამაშის მოგება შეგვიძლია, ისევე როგორც ეს შარშან გავაკეთეთ. გუნდში დიეგო დომინგესის უბრალოდ ყოფნაც კი ძალიან ბევრს ნიშნავს, სწორედ ამიტომ ვთხოვეთ მას ნაკრებში დაბრუნება" — თქვა ბრედ ჯონსტონმა.

„სკუადრა აძურას" მაისურით დომინგესს 61 მატჩში 819 ქულა მოუგროვებია. იგი ნაკრებს შარშან, პირველ აპრილს გამოეთხოვა, მაგრამ როგორც ახლა აღმოჩნდა, მაშინ ტრადიციებს აჰყოლია და ტყუილი უთქვამს.

ირლანდიელებს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით. მათი შერკინება მეტოქისას ბევრით ვერ სჯობს. სამმეოთხედელები, მართალია, ძლიერები არიან, მაგრამ იტალიელებსაც არა უშავთ. შარშან ამ გუნდების მატჩი „სამყურებმა" მოიგეს — 60:13 და თან ტურნირის ისტორიაში ყველაზე მეტი ქულაც მოიხვეჭეს. შესაბამისად, იტალიელებს სტიმული არ აკლიათ და თამაშიც დაძაბული უნდა იყოს.

4 თებერვალი

**საფრანგეთი — შოტლანდია**

რამდენიმე ხნის წინ ეს გუნდები ერთი და იმავე სათამაშო სტილის მიმდევრები იყვნენ. ორივე ხელით ბურთაობას ანიჭებდა უპირატესობას და ძირითადად კომბინაციური თამაშის იმედზე იყო. მას შემდეგ, რაც საფრანგეთს ბერნარ ლაპორტი წვრთნის, „ლურჯები" უფრო ინგლისურ რაგბს თამაშობენ.

ფრანგებს შერკინებაში აშკარა უპირატესობა აქვთ, რის გაბათილებასაც სკოტები დერეფანში გაბატონებით შეცდებიან. აუტებიდან მოწოდებული ბურთებისთვის ბრძოლაში შოტლანდიელებს სკოტ მიურეისი ეიმედებათ, რომელიც ამ საქმის ერთ-ერთი ოსტატია მსოფლიოში.

დაცვაში უფრო ძლიერი ნამდვილად საფრანგეთია, რომელიც თვით სამხრეთელი ბობოლების შეტევებსაც კი მედგრად უხვდება, რასაც ვერ ვიტყვით შოტლანდიაზე. სამაგიეროდ, სტუმრები უფრო მობილურები ჩანან, რადგან მათ მორკინალებსაც კი თავისუფლად შეუძლიათ სწრაფ კონტრშეტევებში ჩაბმა. ერთი სიტყვით, ორივე გუნდს თავთავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს და რომელი მოიგებს, ძნელი სათქმელია.

**გაგი გურული**

| გათამაშების განრიგი |
|---|
| II ტური |
| 17 თებერვალი |
| შოტლანდია — უელსი |
| ირლანდია — საფრანგეთი |
| ინგლისი — იტალია |
| III ტური |
| 3 მარტი |
| იტალია — საფრანგეთი |
| უელსი — ირლანდია |
| ინგლისი — შოტლანდია |
| IV ტური |
| 17 მარტი |
| საფრანგეთი — უელსი |
| შოტლანდია — იტალია |
| 24 მარტი |
| ირლანდია — ინგლისი |
| V ტური |
| 7 აპრილი |
| ინგლისი — საფრანგეთი |
| შოტლანდია — ირლანდია |
| 8 აპრილი |
| იტალია — უელსი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარტინა გაკოტრიალდა



REUTERS ტოკიოდან

ყველაფრით დაღლილს სანუგეშოდ სიცილი დამრჩა. ტოკიოს კორტზე გაკოტრიალებულ მარტინა ჰინგისს თითქოს წამოდგომა ეზარება და თავის სიზარმაცეს დასცინის. სწორედ ამგვარ·ლაღ განწყობით დაამარცხა მარტინამ იაპონელი აი სუგიამა იქაურ „პან პასიფიკის“ ტურნირზე, 6:0, 5:7, 6:2.



REUTERS პოკლიუკიდან

# ჯარისკაცის გარჯა

ცოტაც და სლოვენიურ თოვლიან ქალაქ პოკლიუკას ახლოში ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება. სლავური სახელისუფლო ადათების შესაბამისად საქვეყნო საქმე მუქთმა მუშახელმა, ჯარისკაცებმა უნდა შეასრულონ. ჰოდა, სლოვენი თოფოსნებიც ფუნჯოსნებად გადაკეთებულან და სამიზნეებსაც გულმოდგინედ ღებავენ.

# ილგაუსკასი არ ნებდება



AP კლივლენდიდან

ჟიდრუნას ილგაუსკასი ალბათ ყველაზე დიდი ლიტველი კალათბურთელია არვიდას საბონისის შემდეგ. მეტიც, ბოლო წლებში ხშირად გაიგონებდით, ეს ბიჭი საბასს თავის ჩრდილში მოაქცევსო. „კლივლენდ კავალიერზის“ რიგებში ორი წლის წინათ ჩარიცხული ლიტველი ცენტრი დიახაც გაიბრწყინებდა ენ-ბი-ეი-ში, მაგრამ იქ გატარებულ ორ სეზონში მხოლოდ ოცდაცხრა მატჩში მიიღო მონაწილეობა. მიზეზი უბრალო და დრამატულია — ორჯერ მოტეხილი მარცხენა ფეხი. იმ ოცდაცხრა მატჩში კი მას საშუალო მაჩვენებელი 11,6 ქულა და 6,7 მოხსნა ჰქონდა. ილგაუსკასს ფეხი მეორედ 22 დეკემბერს, „მაიამისთან“ მატჩში მოტყდა და დიდი თათბირობის შემდეგ გადაწყვიტა შუა სეზონშივე გაეკეთებინა ოპერაცია. ლიტველს ბალტიმორელი ქირურგი მარკ მაიერსონი უწამლებს. ჯერჯერობით საბასის ჩრდილში მყოფი კი ამბობს: „ოცდათხუთმეტი წლისა რომ ვიყო, აღარ ვითამაშებდი, მაგრამ ოცდახუთისა ვარ და ბრძოლა მწყურია“. კლივლენდელებიც ლოცულობენ ლიტველის გამოჯანმრთელებაზე, ექვსწლიანი კონტრაქტით მათთან მაკავშირებელ ილგაუსკასს სეზონში 11,5 მილიონი დოლარი ერგება.




REUTERS სენ მორიციდან

# ნაჯაფარი

სენტ მორიცის თოვლიან ბილიკებზე ბობსლეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ოთხკაცა ეკიპაჟების ერთ-ერთი კარუზოს, გერმანელ კრისტოფ ლანგენს კარგად უვარჯიშია და ნაჯაფარი კაცის იერით მიყრდნობია კედელს, რომლის თავზეც აბრაა: „აქ მოვარჯიშე სტუმართა ჩაფხუტები გაიცემაო“.

# ფატერლანდისთვის, მანდილოსნებო...



REUTERS ბონიდან

მარცხენა ფოტოზე გამოსახული ქალი, გერმანელი ნიჩბოსანი ბირგიტ ფიშერი, უდიდესი ვინმეა. შვიდი ოლიმპიური ოქრო მოუგია, რომელთაგან ორს სექტემბერში, სიდნეიში დაეუფლა. მარჯვენა ფოტოდანაც გერმანელი ოლიმპიელი ქალი გვიმზერს, ოღონდ ფიშერზე გაცილებით მოკრძალებული შედეგის მქონე — ფეხბურთელმა დორის ფიჩენმა სიდნეიში ბრინჯაო დაისაკუთრა. ამ პატივცემულ მანდილოსნებს გერმანიის პრეზიდენტი იოჰანეს რაუ ესალმება, უკან კი ათიოდ წლის წინ გაერთიანებული ფატერლანდის კანცლერი გერჰარდ შრიოდერია.



REUTERS ბონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

## გერმანია

XX ტური

მიუნხენი 1:0 დორტმუნდი

1:0 ჰუკლერი (63)

II ბუნდესლიგა. XX ტური

ნიურნბერგი 1:0 ვალდჰოფი

ალენი 2:1 ჰანოვერი

## იტალია

სერია B. XXI ტური

კოზენცა 2:1 პიაჩენცა

## ინგლისი

II დივიზიონი. XXX ტური

უიგანი 1:1 უოლსოლი

III დივიზიონი. XXX ტური

კარდიფი 0:0 როჩდეილი

მენსფილდი 1:1 ექსეტერი

## თურქეთი

XIX ტური

სამსუნი 3:3 გაზიანთეფი

## პორტუგალია

XX ტური

გოავიშტა 1:0 ამადორა

1:0 კოვედო (20)

## ბელგია

XXI ტური

შარლერუა 0:4 ანდერლეხტი

0:1 რაძინსკი (19), 0:2 გოორი (59), 0:3 კოლერი (68), 0:4 დედეჩე (75)




0:1 — დორტმუნდელებმა მინდორი თავჩახრილებმა დატოვეს

## საქართველო: თითქმის უძლიერესი უკრაინა: უშევჩენკოდ



გიორგი ქინქლაძე უკრაინელებთან ვერ ითამაშებს

**14 თებერვალს** საქართველოს ნაკრები უკრაინას თითქმის უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდება. ტრავმირებული გიორგი ქინქლაძის, გიორგი დემეტრაძისა და ნაკრების თავკაცთა გადაწყვეტილებით ეროვნულ გუნდში არგამოძახებულ ზაზა ჯანაშიას გარდა, 14 თებერვალს, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ასეა ცნობილი, ნაკრების ბირთვი თბილისში იქნება და ეროვნულ სტადიონზე სტუმრებს დაუხვდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თბილისში ჩამოსაფრენი და უკან გასაფრენი ბილეთები უკვე გაუგზავნა — თემურ ქეცბაიას, კახა კალაძეს, ზურაბ ხიზანიშვილს, გიორგი ნემსაძეს, მიხეილ ყაველაშვილს, გოჩა ჯამარაულს, არჩილ და შოთა არველაძეებს, ლევან კობიაშვილს, ალექსანდრე იაშვილს, ლევან ცქიტიშვილს — თითქმის ყველა ქართველ ლეგიონერს, მწვრთნელებმა ნაკრებში სათამაშოდ რომ მიიწვიეს.

უკრაინელებს ჯერჯერობით სათბილისო შემადგენლობა არ გამოუცხადებიათ, თუმცა ცნობილია, 14 თებერვალს თბილისში „მილანის" თავდამსხმელი და კახა კალაძის თანაგუნდელი ანდრეი შევჩენკო არ ითამაშებს.

**ლუკა თალაკვაძე**

## ხურცილავამ რომანცევს დაუთმო

**მოსკოვის** „სპარტაკის" ხელმძღვანელობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სთხოვა, 14 თებერვალს უკრაინელებთან ამხანაგურად სათამაშოდ ახალგაზრდული ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი არ გამოიძახოთო. მიზეზი — მოსკოვის „სპარტაკს" 13 თებერვალს მიუნხენში „ბაიერნის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელის და „სპარტაკის" მწვრთნელ-პრეზიდენტ ოლეგ რომანცევს სურს, ოთარ ხიზანეიშვილი საამატჩო 18-კაციან განაცხადში შეიყვანოს.

ფეხბურთის ფედერაციაში გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ მურთაზ ხურცილავასა და მის თანაშემწე სერგო კუტივაძეს ამის თაობაზე ულაპარაკიათ და შეთანხმებულან — ხიზანეიშვილი მოსკოვში დარჩება. ასე რომ, 14 თებერვალს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები უკრაინისას „შევარდენის" სტადიონზე უხიზანეიშვილოდ ეთამაშება.

**ლუკა თალაკვაძე**



ოლეგ რომანცევი ოთარ ხიზანეიშვილს „ბაიერნთან" სათამაშოდ ამზადებს

## მთის თხილამურობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სანქტ ანტონი (ავსტრია)

ქალები. კომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომი).

1. მარტინა ერტლი (გერმანია) 2.55,65 (2.10,12/45,53) 2. კრისტინ შპონრინგი (ავსტრია) 2.58,23 (2.11,18/47,05) 3. კარენ პუტცერი (იტალია) 2.58,69 (2.11,88/46,81)




REUTERS სან ანტონიდან

გერმანელმა მარტინა ერტლმა ავსტრიელებს კიდევ ერთი ოქრო წაართვა

## ჩოგბურთი

მილანის ღია პირველობა. დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 400 ათასი $

მეოთხედფინალი:

გრეგ რუზეცკი (ინგლისი) — მარატ საფინი (1, რუსეთი) 6:0, 7:6 (7:5)
ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:4, 6:3
როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4
ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) – ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:4



AP მილანიდან

გრეგ რუზეცკიმ მილანიდან პირველი კაცი, მარატ საფინი დაიფრინა

ბოგოტა. კოლუმბიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

მეოთხედფინალი:

ხუან იგნასიო ჩელა (3, არგენტინა) — დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 7:5, 6:3
ალეშანდრე სიმონი (ბრაზილია) — გილერმო კორეა (5, არგენტინა) 6:4, 6:4





კახა კალაძე მილანურ გზებს ჯერ ანდრეი შევჩენკოს ავტომობილიდან უყურებს

# კალაძემ ავანსი მიიღო, ჯერი წარმატებულ დებიუტზეა

ჩვენში ასეა მიღებული, ცამეტი თარსი რიცხვია. კახა კალაძე ამას არ შეუშინებია, „მილანში“ მეცამეტე ნომერი ერგო, რომელიც აქამდე იტალიიდან ესპანეთში გადაბარგებულ ჟულიო სეზარს ეკუთვნოდა.

კალაძემ „მილანთან“ ოთხნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კალას, ასე მონათლეს ქართველი თანაგუნდელებმა, „მილანში“ ჯერ არ უთამაშია, თუ არ ჩავთვლით იმ 30 წუთს, მოყვარულებთან რომ ჩაატარა, თუმც მისგან ყველა ბევრს ელის. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ამბობს, რომ ქართველი ფეხბურთელი ფრანგ მარსელ დესაის აგონებს. მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ამტკიცებს, რომ კალაძე პაოლო მალდინის წააგავს. მილანური გაზეთების აზრით კი, ქართველი მეორე შევჩენკოა, ოღონდ დაცვაში. ორშაბათს, კალაძის ოფიციალურ პრეზენტაციაზე ქალაქის ყველაზე ცნობილი გაზეთისა და ტელერადიო მაუწყებლობის ჟურნალისტები შეიკრიბნენ. მოყვარულებთან არაფრისმომცემი მატჩის შემდეგ კი პოპულარულმა იტალიურმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტმა“ კალაძის ფოტო პირველ გვერდზე დაბეჭდა. წარწერაც შთამბეჭდავი იყო: „კალაძემ ძაკერონი დაარწმუნა, კვირას ის დისკვალიფიცირებულ კოსტაკურტას შეცვლის.“

ერთი სიტყვით, სერია A-ში კალაძის დებიუტი ჯერ არ შემდგარა, მაგრამ მას უკვე ვარსკვლავად მიიჩნევენ, საინტერესო კი ის გახლავთ, რომ იმათ, ვინც იტალიურ გაზეთებში კალაძის ვარსკვლავურ იმიჯს ქმნის, ქართველი მცველის თამაში ან საერთოდ არ უნახავთ, ანაც თუ უნახავთ, დიდი ხნის წინ. შეიძლება ვცდები, მაგრამ მაშინ ყოველი მეორე იტალიელი კოლეგა რატომ მეკითხება, რომელ პოზიციაზე თამაშობდა კალაძე კიევის „დინამოში“?! ჟურნალისტებს როგორ უნდა უსაყვედურო, როცა თავად ძაკერონიმ აღიარა, კალაძის თამაში მხოლოდ ტელევიზორში თუ მინახავსო.

კალაძის დებიუტი „სან სიროზე“ უდიდეს მნიშვნელობას იძენს. „მილანის“ ნებისმიერი ქომაგი, რომელიც კითხულობს გაზეთებს და სატელევიზიო სპორტულ გადაცემებს უცქერს, მხოლოდ იმისთვის განეწყობა, რომ ქართველი მცველი „მილანის“ დაცვის პრობლემებს საბოლოოდ თუ ვერ გადაჭრის, საშიშ ბზარებს მაინც ამოქოლავს. „სან სიროზე“ იღბლიანი დებიუტი კალაძეს გზას გაუხსნის აღიარებისკენ. ღმერთმა არ ინებოს და უიღბლო თამაშის შემთხვევაში ეს იმიჯი წამში გაქრება, რადგან ყველა ქომაგი არ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ კალაძეს კარგა ხანია, სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია და იტალიის ჩემპიონატი ძალიან განსხვავებულია უკრაინულისგან. ეს თითქმის იგივეა, „ფერარი“ და „ზაპოროჟეცი“ ერთმანეთს შეადარო.

იქნებ ჩქარობს იტალიური მედია, რომელიც კალაძის წარმატებულ საკვირაო დებიუტს წინასწარმეტყველებს? პასუხი ორაზროვანია — ჰო და არა. ალბერტო ძაკერონიმ პირად საუბარში აღნიშნა, რომ საკვირაო მატჩის განაცხადში კალა აუცილებლად იქნება, ხოლო ქართველის ძირითადში დაყენება-არდაყენებას მწვრთნელი უშუალოდ მატჩის წინ გადაწყვეტს.



კალაძის მილანური კარიერა მის პირველ თამაშზეცაა დამოკიდებული

„მოყვარულებთან მატჩი თითქმის არაფრისმთქმელი კია, მაგრამ მაინც გამოჩნდა, რომ კალაძე ჩინებული მონაცემების მოთამაშეა. უახლოესი ვარჯიშები საშუალებას მომცემს, უკეთ გავიცნო ეს ფეხბურთელი. ის ჩინებულ ფიზიკურ მზადყოფნაშია, რაც მისი ყოფილი კლუბის დამსახურებაა. დღეისთვის კალაძე მალდინის ტიპის მოთამაშედ მესახება, რომელიც ფლანგზე დაცვით ფუნქციებს იტვირთებს. კიევში ხშირად ნახევარმცველად თამაშობდა. ამიტომ ნუ ვიჩქარებთ, საბოლოო დასკვნებს დაველოდოთ. იქნებ ისე გაიხსნას, რომ თავდამსხმელად გავამწესო“ — ხუმრობით დაამთავრა ძაკერონიმ თავისი მონოლოგი.

„რეჯინასთან“ მატჩამდე „მილანს“ დაცვაში მართლაც სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. კოსტაკურტა დისკვალიფიცირებულია, შამოტი — ტრავმირებული. სალა ძაკერონის ნდობით ვერ სარგებლობს, მალდინიმ კი მცირე ტრავმის გამო საწვრთნელი მატჩი გამოტოვა. ჟულიო სეზარი ესპანეთში გადაბარგდა, ხოლო სარაგოსელი ლანა, რომელიც პირინეებიდან იტალიას უნდა სწვეოდა, ალბათ, „მილანში“ ვერ ითამაშებს.

მალდინის გარეშე ძაკერონი თამაშს წარმოუდგენლად მიიჩნევს, ამიტომ „მილანის“ კაპიტანი მკვდარიც რომ იყოს, მოედანზე გასვლა მაინც მოუწევს. დაცვაში მეორე როკე ჟუნიორი იქნება. ძაკერონიმ „რომასთან“ მატჩში თავის პრინციპს უღალატა და გუნდი ოთხი მცველით ათამაშა, მაგრამ „რეჯინასთან“ ამას აღარ გაიმეორებს. ესე იგი, დაცვაში ვაკანტური მხოლოდ ერთი ადგილი დარჩა. არსებულ ვითარებაში მესამე მცველი შეიძლება იყოს კალაძე, ჰელვეგი ან კოკო.

როკე ჟუნიორი მარჯვნივ დაიჭერს ადგილს, კალაძეს კი, რა თქმა უნდა, ძირითადში თუ გამოჩნდა, თამაში მარცხნივაც მალუძს და ცენტრშიც. დაცვის შუაში მისი გამწესება ძალიან სარისკოა. ცენტრალური მცველი პარტნიორებს ხელმძღვანელობს, კალაძემ კი იტალიური არ იცის. ძაკერონი ხშირად ენდობა ახალგაზრდებს, ასე რომ, გასაკვირიც არაფერი იქნება.

ამ დღეებში თავად კალაძე შინაგანად თავდაჯერებულია და მშვიდი. ანდრეი შევჩენკოსა და კლუბის შტატიანი თანამშრომლის რეზო ჭოხონელიძის ყურადღების ცენტრშია. „მილანის“ ახალწვეული ნელ-ნელა ეჩვევა ახალ ცხოვრებას. კლუბი ჯერაც კალაძის ბინის ძიებაშია, საცხოვრებელს ქალაქის ცენტრში, შევჩენკოსთან ახლოს გამოუძებნიან. ჯერჯერობით კი ქართველი ლეგიონერი იმ სასტუმროშია, სადაც თავად უკრაინელი ფორვარდი ცხოვრობდა. სანამ კლუბი კალაძეს ავტომობილს მისცემს, მძღოლობას შევჩენკო კისრულობს. „მილანელოში“ ვარჯიშზე უკრაინელს მიჰყავს და ქალაქშიც ის აბრუნებს.

ოთხშაბათს ბაზაზე კალაძე იტალიურის მასწავლებელს გაეცნო. აპენინელი მანდილოსანი ორშაბათიდან ჩაუტარებს გაკვეთილებს. კახას ჯერ არ მიუღია მობილური ტელეფონის იტალიური ნომერი, მაგრამ ეს მისთვის უკეთესიცაა. მერე პრობლემებიც შეექმნება, არაერთი ქომაგი და ნაცნობი შეაწუხებს.

აღიარებენ თუ არა კალაძეს იტალიელები? შანსი ნამდვილად აქვს. პრესა მის მიმართ კეთილგანწყობილია, რაც იტალიაში ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. გუნდმა კარგად მიიღო, ხოლო შევჩენკოს თანადგომა ცხოვრებას უადვილებს. მწვრთნელი კარგი თვალით უყურებს, კლუბის ხელმძღვანელებს კი, რომლებმაც სოლიდური თანხა დახარჯეს ქართველი მცველის შესაძენად, კალაძის მხარდაჭერის გარდა სხვა შანსიც არ დარჩენიათ. ყველაფერი კახას წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ ყველა დადებითი მხარე საბოლოოდ მაშინ გაამართლებს, თუ კალაძე პირველ ხანებში ყველაფერს დაივიწყებს ფეხბურთის გარდა. ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. დაუზარელი შრომა და სამაგალითო საქციელი — ასე უნდა დაიწყოს მან მილანური კარიერა და ამაში შევჩენკო ვერ დაეხმარება. კალაძემ თავად უნდა გაათვიცნობიეროს და განსაზღვროს, რისი მიღწევა სურს იტალიაში.

მას ფეხბურთში კარი ფართოდ გაუღეს და ის კარი რომ ცხვირწინ არ მიუხურონ, ამისთვის სასწრაფოდ უნდა ისწავლოს იტალიური, შეარჩიოს საცხოვრებელი, კიევიდან ჩამოიყვანოს საცოლე და ყველაფერში არ მიბაძოს შევჩენკოს. უკრაინელის ცხოვრებაში, პირველ წელიწადთან შედარებით ხომ ბევრი რამ შეიცვალა.

კალაძეს ბედმა მისცა შანსი, რომელიც ყველას როდი ეძლევა. იმედია, ქართველი ლეგიონერი ამ შანსს გამოიყენებს.

**გიორგი ძუძინოვი**
„სპორტ ექსპრესი“
2 თებერვალი

# სერია A: შენცა, ალეკო?!

*საქმე ისე მიდის, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილიც რიგის „სკონტოს“ უახლოეს მომავალში, ლატვიელებთან კონტრაქტის გასრულებამდე დატოვებს და კარიერას ისიც, კახა კალაძის მსგავსად, სერია A-ში გააგრძელებს*

ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ ისიც გვითხრა, ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირიდან რეხვიაშვილის რიგაში დაბრუნებას არც ველოდი, ამბობდნენ, ის კალაძის მსგავსად იტალიას პირდაპირ მოსკოვიდან მიაშურებსო. „სკონტო“ — კიევის „დინამოს“ მატჩს ერთი იტალიელი აგენტიც ესწრებოდა, რომელმაც თამაშის დამთავრებისთანავე ამ შეხვედრის ფირი ითხოვა და იმ საღამოსვე სერიას A-ს რომელიღაც კლუბში გააგზავნაო. ლატვიელი ჟურნალისტის თქმით, ეს კლუბი, სავარაუდოდ, „ბრეშა“ გახლდათ.

ალექსანდრე რეხვიაშვილი კი ამჟამად რიგაშია და „სკონტოსთან“ ერთად 6 თებერვალს ჰოლანდიაში გასამგზავრებლად ემზადება. იქ ლატვიელებს ორკვირიანი შეკრება აქვთ დაგეგმილი. თუმცა რეხვიაშვილს ორი-სამი დღით გუნდის მიტოვება და თბილისში ჩამოსვლა მოუწევს. ის საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული, რომელიც 14 თებერვალს უკრაინელებს უნდა გაეჯიბროს. როგორც რიგელმა კოლეგამ გვითხრა, ალბათ, სწორედ 14 თებერვალს გადაწყდება, რომელ კლუბში გააგრძელებს თამაშს რეხვიაშვილი. უკრაინასთან მატჩს თურმე ერთ-ერთი იტალიელი აგენტი და „ბოლონიას“ წარმომადგენელი უნდა დაესწრონ და ალეკოს კიდევ ერთხელ დააკვირდნენ.

„სკონტო“ კი, რომელთანაც რეხვიაშვილს კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება, ჩვენებურის გაყიდვის წინააღმდეგი არ უნდა იყოს, სეზონის მერე ფეხბურთელი თავისუფალი იქნება და „სკონტოც“ რეხვიაშვილის სანაცვლოდ, ალბათ, მხოლოდ საკომპენსაციო თანხას გამორჩება. ზაფხულამდე კი „სკონტოს“ დიდი ფულის მიღება შეუძლია.

**ქობა ინასარიძე**



ფრანჩესკო ტოტი და ალექსანდრე რეხვიაშვილი: იქნებ სერიული მეტოქეები...


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# ჯერ ლონე, მერე დონე

## გიორგი დეკანოსიძე გერმანელების ხელში

დღეს გერმანიის მეორე ბუნდესლიგური „ფიურტის" მწვრთნელები „ოსნაბრუკთან" ჩემპიონატის მეოცე ტურის მატჩის განაცხადში შესაყვან ფეხბურთელებს დაასახელებენ. მათ შორის არ იქნება „ფიურტის" ქართველი ახალწვეული, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გიორგი დეკანოსიძე.

ერთი შეხედვით არცთუ სასიხარულო ცნობაა, მაგრამ თავად ფეხბურთელი ასე არ ფიქრობს. იგი ერთობ კმაყოფილია, შეიძლება ითქვას, ბედნიერად გრძნობს თავს. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ „ფიურტის" მთავარმა მწვრთნელმა ორკენბრეხერმა გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში თქვა: ჩვენ გუნდს საიმედო ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი შეემატა. მას ფიზიკურად მოვალონიერებთ და მომავალ სეზონში უთუოდ ვათამაშებთო.

ეს კი მართლაც საგულისხმო ფაქტია, რადგან, როგორც ცნობილია, დეკანოსიძეს „ფიურტთან" ექვსთვიანი კონტრაქტი აკავშირებს და ამ ვადის გასვლის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს კლუბმა მისი დატოვების საკითხი. მწვრთნელის სიტყვებიდან კი ჩანს, რომ „ფიურტი" დეკანოსიძესთან უფრო ხანგრძლივ თანამშრომლობას აპირებს. ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველიც სწორედ ამან გაახარა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონატის განახლებისას გუნდმა გვარიანად წაიფორხილა, შინაურ კედლებში ვერაფერი გააწყო „ზაარბრიუკენთან" და მოულოდნელად დამარცხდა. ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩს „ფიურტი" ხვალ სტუმრად გამართავს „ოსნაბრუკთან".

ქართველი ლეგიონერი კი უსაქმოდ ნამდვილად არ არის...

„ოდნავადაც არ ვწუხვარ, რომ ძირითად გუნდთან თამაში არ მიწევს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მწვრთნელის სიტყვებმა გამამხნევა და ვარჯიშებს გაორმაგებული ყურადღებით ვეკიდები. სათამაშო პრაქტიკას კი სარეზერვო გუნდში ვილებ. ორი დღის წინ მეტოქეს 5:1 ვძლიეთ, თავად არ გამიტანია, მაგრამ სამ გოლში მივიღე მონაწილეობა — თანაგუნდელებს ასისტენტობა გავუწიე" — გვითხრა დეკანოსიძემ გუშინდელი სატელეფონო საუბრისას.

ბაატა ქვანტალიანი



გიორგი დეკანოსიძემ „ფიურტს" თავი მოაწონა

# ფედერაცია პირველ არხზე

ერთი სასიამოვნო ამბავი გვითხრეს ფეხბურთის ფედერაციაში — გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი ჩვენი ნაკრების იმ ორ მატჩსაც, ქართველებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სტუმრად სათამაშო რომ დარჩათ, პირდაპირ ეთერში აჩვენებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, გერმანულ კომპანია „ტელესპორტთან" შეთანხმებით, რომელიც ფლობს კიდეც ქართველთა თამაშების ტელევიზიით გადაცემის უფლებას, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს ნება დართო, გადასცეს უნგრეთ — საქართველოს და რუმინეთ — საქართველოს შესარჩევი მატჩების პირდაპირი ტელერეპორტაჟი.

გარდა ამისა, ფედერაციამ ერთი სასიამოვნო სიურპრიზიც მოუმზადა ტელემაყურებლებს: საქართველო — უკრაინის 14 თებერვლის ამხანაგური მატჩის უკრაინაში პირდაპირი ტრანსლირების უფლება სტუმრებს აჩუქა და სამაგიეროდ, ჩვენც პირდაპირ ეთერში, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ვნახავთ ამ გუნდების ასევე ამხანაგურ მატჩს, რომელიც გაისად, კიევში გაიმართება.

ლუკა თალაკვაძე


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

# თეორიულის შანსია

## სიონმა შენგელია შეიგულა

ერთი შეხედვით, ბოლნისურ „სიონს“ ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე არანაირი ამბიცია არ ამოძრავებს. სპარტაკ არჩვაძის გუნდი სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა და ექვსეულს გვარიანად ჩამორჩება ქულებით, თუმც ჩიტი ბდღვნად ღირსო, ხომ გსმენიათ, ასეა ბოლნისელთა საქმეც. „სიონს“ ექვსეულში მოხვედრის თეორიული შანსი კვლავაც აქვს და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს.

ამის დასტური ისიცაა, რომ ქვემოქართლელები სატრანსფერო ციებ-ცხელებაში არიან და აგერ უკვე მეცხრე ფეხბურთელიც შეიმატეს.

ბესიკ შენგელია ადრეც თამაშობდა „სიონში“ და სწორედ ამ გუნდიდან გადავიდა „ბათუმში“. თუმც ზღვისპირეთში დიდხანს არ გაჩერებულა, ახალმა ხელმძღვანელებმა იგი ტრანსფერზე დააყენეს და, ფაქტობრივად, უგუნდოდ დარჩა.

საშუასეზონო მიდი-მოდის დროს შენგელია „მერანში“ ვარჯიშობდა და გვეგონა, ამ გუნდის შემადგენლობაში შეხვდებოდა ჩემპიონატის განახლებას, მაგრამ...

„ბესიკ შენგელია რამდენიმე დღეა, ჩვენთან ვარჯიშობს და მისი „სიონში“ დარჩენის საკითხიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია“ — გვითხრა გუშინ „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ.

გაირკვა კახა სიდამონიძის ბედიც. სიმფეროპოლიდან დაბრუნებულ ფეხბურთელს „სიონის“ ხელმძღვანელობა ხელშეწყობას დაჰპირდა და სიდამონიძეც ისევ ძველი გუნდის ღირსებას დაიცავს. აქვე გეტყვით რომ შენგელიას მსგავსად შარშან „სიონიდან“, ისიც „ბათუმში“ წავიდა მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა.

ბოლოს კი იმასაც გაცნობებთ, რომ „სიონის“ მომავალთან დაკავშირებით დღეს ბოლნისში სამუშაო შეხვედრა გაიმართება.

„ზურაბ ჯაფარიძის, ბოლნისის გამგებლის დიდი იმედი გვაქვს. მჯერა, იგი საორგანიზაციო პრობლემებს დადებითად მოგვიგვარებს და გუნდიც დარჩენილ თამაშებში მხოლოდ წარმატებაზე იფიქრებს“ — ესეც სპარტაკ არჩვაძის სიტყვებია.

„სიონმა“ გუშინ „ისნის“ სტადიონზე გადაინაცვლა და 14 თებერვლამდე იქ მოემზადება. გზადაგზა ბოლნისელები საკონტროლო მატჩებსაც გამართავენ. დღეს არჩვაძის გუნდი „გორდას“ შეხვდება, ხვალ კი იქვე სამტრედიულ-თბილისურ „იბერია-შევარდენს“ დაუხვდება.


სპარტაკ არჩვაძეს იმედი მიეცა

პაატა ქვანტალიანი

# გიორგი გორში გამოიგაზაფხულებს

გორის „დილასა“ და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი გიორგი რევაზიშვილი, რომელსაც თავის დროზე ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, ტრავმირებულია, ნახევარმცველს ფეხის კუნთმა უმტყუნა, ერთ-ერთი ვარჯიშისას გაუწყდა.

რევაზიშვილს რუსეთის უმაღლეს ლიგაში, „კრილია სოვეტოვშიც“ უბურთავია, ამჟამად კი მოლდოვური „შერიფის“ კუთვნილებაა, თუმცა ამჟამად გიორგი მშობლიურ „დილაში“ თამაშობს.

საშემოდგომო ეტაპის შემდეგ რევაზიშვილი გორიდან წასვლას ეშურებოდა. ვარიანტებიც კარგი გამოუჩნდა. მას რუსეთის უმაღლესი ლიგის „ზენიტი“ და „ტორპედო ზილი“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ კუნთდაზიანებული ფეხბურთელი აბა, ვის რად უნდა?!

„რუსებს უარი შევუთვალე, ყველაფერი ავუხსენი და ჩემი გამგზავრებაც ზაფხულამდე გადაიდო. ტრავმას მოვიშუშებ, საგაზაფხულო ეტაპზე „დილაში“ მოვლონიერდები და წასვლას მერეც მოვასწრებ“ — გვითხრა რევაზიშვილმა, როცა გორში შევეხმიანეთ.

ქართველ ნახევარმცველს მოლდოვურ „შერიფთან“ კონტრაქტი სწორედ ზაფხულში უმთავრდება და მათგან თავს იოლად დაიხსნის.

დათო დანელია


გიორგი რევაზიშვილი



☎ (231) 7 17 58 იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ. სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"


# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>გივი ნოდია | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), აბრამიძე (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 0:0, დილა 1:2 |
| ტორპედო<br>დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ჟაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| დინამო<br>რევაზ არველაძე | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?, რუსეთი) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანჯავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1 |
| ვიტ ჯორჯია<br>თემურ მახარაძე | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1, ასკოლი (იტალია) 6:0 |
| კოლხეთი<br>სოსო ფილია | ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნივნივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე, ახვლედიანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0 |
| მერანი<br>ოთარ გაბელია | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვეკვესკირი (მუქურა), ბ. შენგელია (ბათუმი); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| ბათუმი<br>ასლან ბალაძე | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (სიონი), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია (მერანი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქურაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1 |
| სიონი<br>სპარტაკ არჩვაძე | ნივნივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), სიდამონიძე (ბათუმი), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ) | ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2 |
| გორდა<br>იასონ ალადაშვილი | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0 |
| დილა<br>ვაჟა ხაჩირაშვილი | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1 |
| თსუ<br>მერაბ კოჭლაშვილი | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბერომვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 22:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1 |
| იბერია შევარდენი<br>ნოდარ აკობია | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბიწაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2 |

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია




„იუვენტუსის“ ახალწვეული ატირსონ მაცოლი დე ოლივეირა

# არ შეგცივდეს, ატირსონ

**ტურინის** „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა თვეზე მეტხანს აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბრაზილიურ „პალმეირასთან“, რათა მათი ახალგაზრდა მცველი ატირსონ მაცოლი დე ოლივეირა „დელე ალპიზე“ გადაეყვანა. ტრანსფერის მოგვარება გართულდა, რადგან ბრაზილიელებს ფეხბურთელის დათმობა არ სურდათ. უფრო ზუსტად, იტალიელთა მიერ შეთავაზებული თანხა ეცოტავათ. სამხრეთამერიკელები ბოლოს დანებდნენ. „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ კი თავისი კლუბის ქომაგებს ამცნო, ატირსონი ამიერიდან იუვენტუსელიაო.

„პალმეირასი“ ფეხბურთელის გაშვებაზე იმიტომაც არ თანხმდებოდა, რომ იქაურები ატირსონში დიდ პოტენციალს ხედავდნენ. იმასაც ამბობდნენ, 23 წლის მცველი მომავალი რობერტო კარლოსიაო.

ოფიციალურ პრეზენტაციაზე ატირსონმა „იუვენტუსს“ ხოტბა რომ შეასხა და მისი ისტორიული და თანამედროვე მიღწევებიც გაიხსენა, მერე განაცხადა: „მარცხენა ფრთაზე უფრო ძლიერად ვთამაშობ, მარჯვენივ გადასვლაც ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. თუმცა, მცველი ვარ, მაგრამ შეტევებშიც ძალიან ხშირად ვერთვები. გააჩნია, მწვრთნელი რა მითითებას მომცემს“.

ატირსონი იტალიაში იანვრის დასაწყისიდან იმყოფება და უკვე ნოსტალგია მოეძალა, ამბობს, რიო და იქაური პლაჟი მომენატრა, თუმც ეს რა სათქმელია, ახლა სულ ჩემს იუვენტუსურ მომავალზე ვფიქრობო. „მონდომებით უნდა ვივარჯიშო, რათა მწვრთნელის მოწონება დავიმსახურო. უძლიერესი გუნდია, ყველა ერთმანეთთან მეგობრობს და წლეულს სკუდეტოს მოგების შანსიც აქვთ“ — თქვა ბრაზილიელმა, რომელიც იტალიურად თურმე მხოლოდ ცალკეული ფრაზების წარმოთქმას თუ ახერხებს. თუმცა, როგორც ამბობენ, ენის სწავლაშიც ძალიან ყოჩაღობს.

ბრაზილიურ სიცხეს დაჩვეულს ერთი კი დაუჩივლია — იტალიაში გავიყინეო. ზოგიერთებს კი უხუმრიათ, იქაურ პლაჟებზე გაზრდილს გაგიჭირდებოდა, აბა, რაო.

მერე ატირსონისთვის უთქვამთ, თავისუფალ ნომრებს შორის შენი ამოირჩიეო, იმას კი 28 ნომრისთვის დაუდია ხელი. ასე რომ, „იუვენტუსის“ 28-ნომრიან მაისურს ამიერიდან ატირსონი ეწერება. გუშინ მან გუნდთან ერთად ივარჯიშა.

ამ ვარჯიშზე კი არ იყვნენ გუნდის კაპიტანი ანტონიო კონტე და ფაბიენ ონილი. ორივეს კუნთის ტრავმა აწუხებს და შაბათს „ატალანტას“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ.

ფრანგ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს ტრავმაზეც გაუწყეთ, „იუვენტუსს“ ისიც ვერ დაეხმარება. ინდივიდუალურად ვარჯიშობენ დანიელ ფონსეკა და პაულო მაინცეროც, თუმცა ზუსტად ვერ ამბობენ, როდიდან ექნება მწვრთნელ კარლო ანჩელოტის მათი იმედი. ნაკრებშია გამოძახებული ხორვატი იგორ ტუდორიც და ვარჯიში მანაც გამოტოვა.

ახლა ერთ სტატისტიკურ ინფორმაციას მოგაწვდით. გეხსომებათ, კვირას ფელიპო ინძაგიმ „ვიჩენცას“ სამი გოლი გაუტანა. აღმოჩნდა, რომ პროფესიული კარიერის მანძილზე ეს ინძაგის მეთერთმეტე ჰეთ თრიქია. აქედან შვიდჯერ „იუვენტუსის“ შემადგენლობაში გამოუჩენია თავი. ერთ მატჩში სამი გოლი კი პირველად 1993 წლის 2 მაისს გაუტანია, როცა მესამე დივიზიონურ „ლეფეში“ თამაშობდა. ტურინული ჰეთ თრიქის დებიუტი 1998 წელს იყო, 18 მარტს, კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ მატჩში.

**ნიკა შუბლაძე**

# ლოპესი ლიგას ჯანზე შეხვდება

**„ლაციოს“** ქომაგთათვის სასიხარულო ამბავია. ტრავმირებული არგენტინელი თავდამსხმელი, კლაუდიო ლოპესი მალე გუნდის დახმარებას შეძლებს. როგორც რომაული კლუბის ექიმი ვარაუდობს, 13 თებერვალს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ იგი უკვე განაცხადში იქნება.

სეზონის დასაწყისში ესპანურ „ვალენსიადან“ „ლაციოში“ ჩარიცხული ფორვარდი დაახლოებით თვენახევრის წინ მძიმედ დაშავდა, მუხლი იტკინა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მკურნალობდა. ახლა ტრავმა თითქმის მოიშუშა და კლუბის ფსიქოლოგი უოლტერ დი სალვო ინდივიდუალურად ამზადებს. „კლაუდიო მალე ითამაშებს. მკურნალობის კურსი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს“ — განაცხადა დი სალვომ და იქვე დასძინა, რომ რამდენიმე დღეში არგენტინელს უფლებას მისცემს, გუნდთან ერთად დაიწყოს ვარჯიში.

ლოპესის არყოფნაში კი „ლაციოს“ შეტევაში კლუბის სარეკორდო შენაძენი, მსოფლიოს მეორე ძვირადღირებული ფეხბურთელი, არგენტინელი ერნან კრესპო და ჩილელი მარსელო სალასი თამაშობდნენ. მათ ჩინებულადად გაართვეს საქმეს თავი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდში მწვრთნელად დინო ძოფი მივიდა. ისიც გავიხსენოთ, რომ იტალიის ჩემპიონმა ორიოდ დღის წინ კიდევ ერთ შემტევ ნახევარმცველთან, ლუკას კასტრომანთან გააფორმა კონტრაქტი, რომელიც გუშინ, კლუბის საწვრთნელ ბაზა „ფორმულაზე“ „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ მოინახულა.



კლაუდიო ლოპესი

## იტალიური ზამთრის ტრანსფერები

| | | |
|---|---|---|
| | | **ატალანტა (ბერგამო)** |
| წავიდნენ | დანილო ძინი | (მცველი, პრესტრიჯზე) |
| | ჩეზარე ნატალი | (მცველი, მონცა) |
| | ჯაკომო ბანკელი | (თავდამსხმელი, ემპოლი) |
| | ალბერტო ფონტანა | (მეკარე, ნაპოლი) |
| მოვიდნენ | დანიელე ბერეტა | (ნახევარმცველი, კალიარი) |
| | დომენიკო მორფეო | (თავდამსხმელი, ფიორენტინა) |
| | პიერლუიჯი რეგონეზი | (მცველი, ემპოლი) |
| | | **ბარი** |
| წავიდნენ | ხაიმე გონსალესი | (თავდამსხმელი, უნივერსიდად დე ჩილე, ჩილე) |
| | ჯენეროზო როსი | (მეკარე, ვენეცია) |
| მოვიდნენ | ჯანკარლო გრეგორი | (მეკარე, სავოია) |
| | პაოლო პოჯი | (თავდამსხმელი, რომა) |
| | | **ბრეშა** |
| წავიდნენ | ჟილბერ ბოდარი | (მეკარე, რავენა) |
| | ვიტორიო მერო | (მცველი, ტერნანა) |
| | ლუიჯი დანოტი | (მცველი, ჩეზენა) |
| | ივან იავორჩიჩი | (ნახევარმცველი, კროტონე) |
| მოვიდნენ | ჯონათან ბაკინი | (ნახევარმცველი, იუვენტუსი) |
| | მარკო გრანდე | (ნახევარმცველი, ფროზინონე) |
| | იგლი ტარე | (თავდამსხმელი, კაიზერსლაუტერნი, გერმანია) |
| | ანდრეა პირლო | (ნახევარმცველი, ინტერი) |
| | | **ფიორენტინა (ფლორენცია)** |
| წავიდნენ | ალდო ფირიკანო | (მცველი, სალერნიტანა) |
| | დომენიკო მორფეო | (თავდამსხმელი, ატალანტა) |
| | გეორგიოს ვაკუფცისი | (თავდამსხმელი, რავენა) |
| | | **ინტერი (მილანი)** |
| წავიდნენ | რობი კინი | (თავდამსხმელი, ლიდსი, ინგლისი) |
| | ივან სამორანო | (თავდამსხმელი, ამერიკა, მექსიკა) |
| | მარკოს ბატისტა ვამპეტა | (ნახევარმცველი, პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი) |
| | ანდრეა პირლო | (ნახევარმცველი, ბრეშა) |
| | სტეფანო ლომბარდი | (მცველი, პერუჯა) |
| | ანსელმო რობიატი | (თავდამსხმელი, პერუჯა) |
| მოვიდნენ | ხაიმე პაჩეკო | (ნახევარმცველი, პენიაროლი, ურუგვაი) |
| | სტეფან დალმა | (ნახევარმცველი, პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი) |
| | მარკო ფერანტე | (თავდამსხმელი, ტორინო) |
| | მარკო მატერაცი | (მცველი, პერუჯა, ზაფხულიდან) |
| | | **იუვენტუსი (ტურინი)** |
| წავიდნენ | ჯონათან ბაკინი | (ნახევარმცველი, ბრეშა) |
| | ანდრეას ისაკსონი | (მეკარე, იურგორდენი, შვედეთი) |
| | მარკო რიგონი | (თავდამსხმელი, რავენა) |
| | მარკო ძანკი | (მცველი, ვიჩენცა) |
| | ხუან ედუარდო ესნაიდერი | (თავდამსხმელი, სარაგოსა, ესპანეთი) |
| მოვიდნენ | ფაბიან კარინი | (მეკარე, ნასიონალი, ურუგვაი) |
| | ატირსონ მაცოლი დე ოლივეირა | (მცველი, ფლამენგო, ბრაზილია) |
| | | **ლაციო (რომი)** |
| წავიდნენ | ატილიო ლომბარდო | (ნახევარმცველი, სამპდორია) |
| | სვენ გორან ერიკსონი | (მთავარი მწვრთნელი, ინგლისის ნაკრები) |
| | რობერტო მანჩინი | (მწვრთნელის თანაშემწე, ლესტერი, ინგლისი, თამაში განაახლა) |
| მოვიდნენ | კარელ პობორსკი | (ნახევარმცველი, ბენფიკა, პორტუგალია) |
| | ლუკას მარტინ კასტრომანი | (ნახევარმცველი, ველეჟი, არგენტინა) |
| | პიერო მატძუცი | (ნახევარმცველი, სამპდორია) |
| | დამიანო კომაცი | (მცველი, მონცა) |
| | დინო ძოფი | (მთავარი მწვრთნელი) |
| | | **ლეჩე** |
| წავიდნენ | დავიდე ოლივარესი | (ნახევარმცველი, კომო) |
| | მაურიციო ბედინი | (ნახევარმცველი, სამპდორია) |
| მოვიდნენ | კლას ინგესონი | (ნახევარმცველი, მარსელი, საფრანგეთი) |
| | ჯოვანი ვაზარი | (ნახევარმცველი, სამპდორია) |
| | | **მილანი** |
| წავიდნენ | ჟულიო სეზარი | (მცველი, სარაგოსა, ესპანეთი) |
| | დრაჟენ ბრნჩიჩი | (ნახევარმცველი, ვიჩენცა) |
| | ფაბრიციო კოლოჩინი | (მცველი, კოზენცა) |
| მოვიდნენ | გუსტავო პაბლო გარსია | (ნახევარმცველი, ატლეტიკო, ესპანეთი) |
| | კახა კალაძე | (მცველი, დინამო, უკრაინა) |
| | მარკო ლანა | (მცველი, სარაგოსა, ესპანეთი) |
| | | **ნაპოლი (ნეაპოლი)** |
| წავიდნენ | ჯორჯო დი ვიჩინო | (თავდამსხმელი, კროტონე) |
| | ტომას რუსო | (მცველი, ბენევენტო) |
| | დამირ სტოიაკი | (თავდამსხმელი, ?) |
| | რაბირუ აფოლაბი | (მცველი, ?) |
| | ლუის პაკიტო | (ნახევარმცველი, რავენა) |
| მოვიდნენ | ედმუნდო | (თავდამსხმელი, ვასკუ და გამა, ბრაზილია) |
| | ალბერტო ფონტანა | (მეკარე, ატალანტა) |
| | | **პერუჯა** |
| წავიდნენ | ლუკა ისოლინი | (მცველი, ჩეზენა) |
| | მარკო მატერაცი | (მცველი, ინტერი, ზაფხულიდან) |
| მოვიდნენ | ანტონიო ტარანა | (ნახევარმცველი, ტერნანა) |
| | სტეფანო ლომბარდი | (მცველი, ინტერი) |
| | ანსელმო რობიატი | (თავდამსხმელი, ინტერი) |
| | | **რეჯინა (რეჯო დი კალაბრია)** |
| წავიდნენ | დავიდე პოსანცინი | (თავდამსხმელი, სამპდორია) |
| | ატილიო დალ აკუა | (მცველი, ჯელა) |
| | გუსტავო ენრიკე რეგი | (თავდამსხმელი, კროტონე) |
| | ალესანდრო ძოპეტი | (მცველი, პესკარა) |
| მოვიდნენ | დანიელე დიონიჯი | (თავდამსხმელი, სამპდორია) |
| | პაოლო ნასი | (თავდამსხმელი, ჯელა) |
| | | **რომა (რომი)** |
| წავიდნენ | ჯუზეპე დი მაზი | (მეკარე, პალერმო) |
| | მაურიციო ლანძარო | (მცველი, ვერონა) |
| | სერგეი გურენკო | (მცველი, სარაგოსა, ესპანეთი) |
| | პაოლო პოჯი | (თავდამსხმელი, ბარი) |
| მოვიდნენ | ანტონიო დე ვეცე | (ნახევარმცველი, პალერმო) |
| | დემეტრიო ძოტი | (მეკარე, პალერმო) |
| | | **უდინეზე (უდინე)** |
| წავიდნენ | ოლივიე პენარდი | (მეკარე, შარლერუა, ბელგია) |
| | ფრედერიკ ფრიდჰოლმი | (თავდამსხმელი, იორგრიტე, შვედეთი) |
| | მაურო ესპოზიტო | (თავდამსხმელი, პესკარა) |
| | იოჰან ლუპენეპსი | (ნახევარმცველი, სალერნიტანა) |
| მოვიდნენ | მარტინ გაარდე | (ნახევარმცველი, ოლბორგი, დანია) |
| | ფაბრის ბასო | (მეკარე, ოსერი, საფრანგეთი) |
| | პაოლო დელ გროსო | (ნახევარმცველი, ჯულიანოვა) |
| | | **ვერონა** |
| წავიდნენ | დავიდე ძომერი | (მეკარე, სუდ ტიროლი, ?) |
| | ჯანკარლო ფილიპინი | (მცველი, ბასტია, საფრანგეთი) |
| | კლაუდიო ფერარეზე | (ნახევარმცველი, ჩიტადელა) |
| | მარკო პიოვანელი | (ნახევარმცველი, ჩიტადელა) |
| მოვიდნენ | მაურიციო ლანძარო | (მცველი, რომა) |
| | კარლო ტეოდორანი | (მცველი, ტერნანა) |
| | ანტონიო პიზანუ | (ნახევარმცველი, კალიარი) |
| | | **ვიჩენცა** |
| წავიდნენ | პასკუალე ლუიზო | (თავდამსხმელი, სამპდორია) |
| | ფაბიო ვივიანი | (ნახევარმცველი, ტრევიზო) |
| მოვიდნენ | კარმინე ესპოზიტო | (თავდამსხმელი, სამპდორია) |
| | დრაჟენ ბრნჩიჩი | (ნახევარმცველი, მილანი) |
| | უსმან დაბო | (ნახევარმცველი, მონაკო, საფრანგეთი) |
| | მარკო ძანკი | (მცველი, იუვენტუსი) |




გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: ბღმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

www.otto.de

ეროვნული ბიბლიოთეკა




## საკი წავიდა

საერთაშორისო ელექტრონზებმა ახალი ამბავი მოიტანეს. „პარმას“ მწვრთნელობიდან გადადგა ოციოდ დღის წინათ დანიშნული არიგო საკი.

არიგო საკი...

ეს დღესაა რომ, რომელი საკიო.

არიგო საკი კი გახლავთ ალბათ ერთადერთი იტალიელი მწვრთნელი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა შეტევა. აქ ენცო ბეარზოტის ხსენებაც შეიძლებოდა, მაგრამ საკის თავისი გულწრფელი სიყვარულის, ასევე ალბათ, ულამაზესი ტაქტიკური ნახაზის, სადად მოძრავი ფეხბურთელების და ათასი სხვა რამის გამო, უფრო გაუჭირდა.

ორი ჩემპიონთა თასი, მსოფლიო ჩემპიონატი ფინალი, სამარცხვინო განდევნა ნაკრებიდან, უვარგისი დაბრუნება „მილანში“, საშუალო მადრიდის „ატლეტიკო“, ახლა კი „პარმა“ და სიტყვები — ლოთიანად, თავი დამანებეთ, დავიღალეო.

ადრე ამ კაცს კეთილი, ცოცხალი თვალები ჰქონდა, მერე და მერე ნაღვლიანი, არაფრისმთქმელი. სერია A-ს ბოლო ტურში „პარმა“ ვერონაში სტუმრობდა და 2:0 მოიგო. საკი რაღაცაზე ღელავდა, მინდვრის კიდეში იდგა (ის ხომ „მდგომ“ მწვრთნელთა წარმომადგენელია), ხელებს შლიდა. ნაკრებიდან წასვლის შემდეგ საკის მოტეხილი, მობერებული კაცის იერი აქვს.

რა ხდება ხოლმე ასეთ დროს?

რა ღლის კაცს, რომელიც ბოლო წლებში საერთოდაც უმუშევარი იყო?

მწვრთნელთა ცხოვრება არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე ფეხბურთელებისა.

ერთი მხრივ, წარმოუდგენელია არიგო საკიმ თამაშს ფეხი ვერ აუწყოს. მეორე მხრივ, მისი წარმატებები უკანასკნელ ხუთწლედს მიღმა რჩება. სხვაგვარად კი, არის ადამიანი, დიდი მწვრთნელი, რომელსაც აღარ უნდა. მე ასე მგონია, რომ მისი ყოველი სამუშაო დღე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, საკუთარი თავის იძულებით იწყებოდა. 1994 წელს მორგებული შავი სათვალის მოხსნის შემდეგ მისი თვალები სხვა კაცის თვალები იყო.

„მილანში“ მეორედ მისულმა საკიმ იქ ლამის ყაზარმული წესები შემოიღო. ეს უძლურების ერთ-ერთი ნიშანია.

კიდევ სხვაგვარად, არიგო საკი ფეხსაცმელების მაღაზიის ნოქრობიდან მოვიდა ფეხბურთში, რომელიც უყვარდა, ის არასოდეს ყოფილა პროფესიონალი მოთამაშე. მას ფეხბურთი იმგვარად უყვარდა, როგორც უბრალო გულშემატკივარს უყვარს და ისე ესმოდა, როგორც ბარე ორ ტიტულოვან მწვრთნელს არ ესმის. მისი ფეხბურთის, მისი მოხდენილი სტილის არსიც ამ ორი ამბის ნაზავში უნდა ვეძიოთ.

ის არ ებღაუჭება. არიგო საკი თავისუფალი კაცია. მას მობეზრდა, მან გზა გაიარა. თავის ნიჭით, თავისი თამაშით გაიარა და ხელახლა აღარ სურს, აღარ შეუძლია, აღარ სჭირდება.

ჭეშმარიტებაზე ვერ გავიქაჩები, საკის გზა ჯოვანი ტრაპატონის გზას მირჩევნია, საკის ფეხბურთი — ტრაპატონის ფეხბურთს, საკის მოგებული — ტრაპატონის მოგებულს.

თუნდაც იმიტომ, რომ ლეგენდარული კარიერის ჩვეულებრივი კარიერით შეცვლა საკისთვის ბევრად მტკივნეული გამოდგა.

# მოკვეთილი

## კატენაჩო: საკი - თხავი აი, ეს არის


არიგო საკი: დაიღალა და წავიდა

პირადი პრობლემები... დაღლა... გრიპიც კი... ამ ყველაფერმა მას მერე გაიჟღერა, რაც ხუთშაბათს, უდინეს სტადიონზე, სტუმართათვის განკუთვნილ სათადარიგოთა სკამზე მწვრთნელი ვერ დაინახეს. „პარმას“ 23 დღის წინ დანიშნული არიგო საკი არ ხელმძღვანელობდა.

და „პარმამ“ იტალიის თასის ნახევარფინალში „უდინეზესთან“ 1:2 წააგო.

არიგო საკიმ, ამ 23 დღის განმავლობაში, იტალიის ჩემპიონატის სამ შეხვედრაში მოასწრო სეზონის წინ საჩემპიონო რიხის მქონე გუნდის დამოძლვრა. ამ სამიდან ორი ფრედ დამთავრდა. მესამე კი პარმელთა გამარჯვებით დასრულდა.

როგორი შედეგი ვუწოდოთ ამას? გააჩნია, რას და ვის შევადარებთ. მაგალითად, საკის წინამორბედის, ალბერტო მალესანის ხელში გუნდს ბოლო ხუთი თამაში არ მოეგო და 7 იანვარს, რეჯინასთან 0:2 წაგების შემდეგ მე-10 ადგილზე იყო. ხოლო სამი საკისეული მატჩის შემდეგ (როგორც მოგახსენეთ, ფრე, ფრე და მოგება) მერვეზეა. ესე იგი მალესანის ბოლო მონაკვეთთან შედარებით საკის პროგრესი ჰქონდა.

მეორე მაგალითად „ლაციოს“ ახალი თავკაცის, დინო ძოფის მოყვანა და საკის მასთან შედარება შეიძლება. ძოფი და საკი ზუსტად ერთდროულად მივიდნენ თავიანთ გუნდებში. ძოფმა სამივე თამაში მოიგო, საკიმ ვერა...

მესამე: შევადაროთ არიგო საკის შედეგი „პარმას“ მადას. აკი ვთქვით, რომ სეზონის წინ პარმელებს საჩემპიონო ამბიცია ჰქონდათ და ცხადია, პრეტენზია იმისა, რომ არავისზე ნაკლები ბიჭები არიან, დღესაც აქვთ. აი, ცხრილში კი სხვა რამ ხდება. საკიმ სასწაული ვერ მოახდინა.

პირადი პრობლემები... შეიძლება, დაღლა... 54 წლის დასვენებული კაცი სამუშაოზე დაბრუნებიდან სამ კვირაში წესით არ უნდა დაღლილიყო. გრიპი...

ვგონებთ, ეს გრიპი არიგო საკის, 1991 წლის ოქტომბერში შეეყარა, როდესაც ლეგენდარული „მილანის“ მწვრთნელი ნაკრებში გადაბარგდა. აი, იქ საკი „რელიგიურ“ საკითხებს შეეხო და ვინაიდან ვერც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ვერც ევროპისა, იტალიურ აზროვნებაში სექტანტად დარჩა. რას ვგულისხმობთ? იმას, რომ კაცი, რომელსაც ეს წერილი ეხება, იტალიურ სიწმინდეს, კატენაჩოს უარყოფს და შემტევ ფეხბურთს ათამაშებს თავის შეგირდებს. ეს „რელიგიის“ ხელყოფაა და თუ გინდა ძველი „რელიგია“ ახლით შეცვალო, საოცრება უნდა ჩაიდინო. მაგალითად, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალში გასულმა ბრაზილიასთან პენალტებით არ უნდა წააგო. ასე განსაჯეთ, პენალტებით არც უნდა მოიგო. უნდა მოიგო ისე, ოთხი წლის შემდეგ იმავ ბრაზილიას საფრანგეთმა რომ მოუგო. აი, მაშინ შეიძლება „რელიგიის“ შეცვლაზე სერიოზული ლაპარაკის დაწყება.

ორი წლის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატზე, იტალია საერთოდ ჯგუფიდან ვერ გავიდა. დიახ, ეს ის(!) ჯგუფი გახლდათ, ორივე ფინალისტის, გერმანიისა და ჩეხეთის ჯგუფი, მაგრამ ამას მნიშვნელობა ნამდვილად აღარ ჰქონდა. ყველას კარგად გვახსოვს, რა მოხდა მაშინ, იტალიისა და გერმანიის შეხვედრაში: ჯანფრანკო ძოლამ პენალტი ვერ გაიტანა, იტალიამ გერმანიას უშველებელი შტურმი მოუწყო; შემდეგ ლოთარ მათეუსმა თქვა კიდეც, დედამიწის ზურგზე ერთადერთი, ვინც კართან მიგვაჯაჭვა და საკუთარი ტაქტიკიდან გადაგვახვევინა, იტალია იყოო. მაგრამ მნიშვნელობა, ცხადია, ამასაც აღარ ჰქონდა. „რელიგია“ ვერ შეიცვალა, საკი სექტანტად დარჩა.

და იტალიის ნაკრებმა საკის შემცვლელად არქაული კატენაჩოს მიმდევარი ჩეზარე მალდინი დანიშნა. ნიშანდობლივი იყო, არა?

ამის შემდეგ კი არიგო საკი მოდრეიფედ იქცა. თუმცა ამაზე ლაპარაკიც არ ღირს, რადგან, ბოდიში და, ისეთ კაცზე ვწერთ, რომლის „მილანიც“ (1987-91) უამრავი ავტორიტეტული ადამიანის აზრით, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ლამაზი და თან შედეგიანი კლუბი გახლდათ.

ასე რომ, ალბათ, მაინც გრიპის ამბავია.

**ბაჩუნა ძიძია**


არიგო საკი

დაიბადა 1946 წლის 1 აპრილს ფუსინიანოში, იტალია.

1972 — სამოყვარულო, ერთობ უსახური კარიერის დამთავრებისა და რვა წლის მანძილზე მამამისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში მუშაობის შემდეგ მშობლიურ ქალაქში მწვრთნელობას მიჰყო ხელი

1977 — „ჩეზენას“ ახალგაზრდული გუნდის გაწვრთნას იწყებს და ესაა მისი პირველი ნაბიჯი პროფესიულ ფეხბურთში

1982 — სერია C-ში „რიმინის“ მწვრთნელი ხდება

1983 — გადადის „ფიორენტინას“ სათადარიგო გუნდის მწვრთნელად

1984 — ბრუნდება „რიმინიში“

1985 — სერია C-ს „პარმას“ უდგება სათავეში და პირველსავე სეზონში გუნდი სერია B-ში გადაჰყავს

1986 — სათასო შეხვედრაში მისი „პარმა“ „მილანს“ ამარცხებს და მილანელთა პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის ყურადღებას იპყრობს

1987 — ხდება „მილანის“ მწვრთნელი და ზედიზედ ოთხ სეზონში გუნდი „სკუდეტოს“ იგებს. ზედიზედ ორჯერ (1989 და 90) „მილანი“ ჩემპიონთა თასს ეუფლება, იგებს იტალიურ სუპერთასს (1989), ევროპის სუპერთასს (1990 და 91) და საკონტინენტთაშორისო თასს (1990 და 91).

1991 — ხდება იტალიის ნაკრების მწვრთნელი

1994 — ხდება მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. ფინალში ბრაზილიასთან პენალტებით აგებს

1996 — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იტალიის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გადის და საკის თანამდებობიდან ხსნიან. იმავე წელიწადს ბრუნდება „მილანში“

1998 — გადადის მადრიდის „ატლეტიკოში“ და ამბობს, რომ ეს მისი ბოლო სამუშაოა. წესით, მადრიდში ორ წელიწადს უნდა დარჩენილიყო, მაგრამ 1999 წელს იტალიაში ბრუნდება და ტელეჟურნალისტობას ჰკიდებს ხელს

2001 — 9 იანვარს ნიშნავენ „პარმას“ მწვრთნელად. 1 თებერვალს გუნდიდან მიდის


არსენ ვენგერი: არ ვარ მე ბილწი კაცი!

## არსენ შენი ალალობა კომიტეტში გამოჩნდება

დღეს საფეხბურთო მატჩებზე ან მისი დასრულების შემდეგ მომხდარი უცნაური ამბავი თუ კურიოზი აღარავის უკვირს. ზოგან მოედანზე მისი საფარით უკმაყოფილო გულშემატკივრები ძროხებს ანავარდებენ, ზოგან ცემა-ტყეპა და მუშტიკრივია გამართული. თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან, მატჩის მსვლელობისას 22 „მუტრუკს“ ტრიბუნიდან გადმოვარდნილი შიშველი მანდილოსნის ხილვის საშუალებაც გაქვთ. აბა, ამგვარ მოვლენებთან უშვერი სიტყვები რა მოსატანია? არადა, „უდანაშაულო“ არსენ ვენგერი შესაძლოა, ამ პატარა უტაქტობისთვის დაისაჯოს. ვენგერს ნერვებმა პრემიერლიგის პირველივე თამაშში უმტყუნა. „არსენალმა“ „სანდერლენდთან“ წააგო, არსენმა ვერ მოითმინა და მატჩის სათადარიგო არბიტრს, პოლ ტეილორს უწმაწური სიტყვებიც კი შეჰკადრა. იგი პატრიკ ვიეირას მოედნიდან გაძევებამ გამოიყვანა მოთმინებიდან, წაგებული მატჩიც ვიეირას წითელ ბარათს დააბრალა. რა ვუყოთ, კაცს სჯერა თავის სიმართლის. სწორედ ამიტომაც იხილავს სააპელაციო კომიტეტი ვენგერის პროტესტს, რადგან სადისციპლინო კომიტეტმა გუშინწინ მას 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ტიერი ანრიმ, დევიდ სიმენმა და რობერტ პირესმა პირველი ჩვენებები უკვე მისცეს, ხოლო თვით არსენს თავის გულალალობის მტკიცება დღეს მოუწევს. ბოლო სიტყვა სააპელაციო კომიტეტზეა.

## უეფას შეშინებია

რა ხანია, რამდენიმე ევროპული კლუბი დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებისკენ ილტვის, რომელიც ატლანტიკური ლიგის სახელითაა ცნობილი. ესენია: ჰოლანდიური „აიაქსი“, „პსვ ეინდჰოვენი“ და „ფეიენოორდი“, ბელგიური „ანდერლეხტი“ და „ბრიუგე“, შვედური „გეტებორგი“ და „აიკი“, დანიური „ბრონდბიუ“ და „კოპენჰაგენი“. მათ შესაძლოა რამდენიმე სხვა კლუბიც შეუერთდეს.

გავიხსენოთ, რომ ჩამოთვლილ კლუბებს საკუთარი ეროვნული ჩემპიონატების დონე არ აკმაყოფილებთ, რაკილა პრემიერლიგელ თუ სერია A-ში მოთამაშე გუნდებისგან განსხვავებით ბევრად ნაკლები შემოსავალი აქვთ. ახალი ლიგის შექმნის იდეაც აქედან მოდის.

თავდაპირველად უეფა ამ ინიციატივას გულგრილად შეხვდა, რადგან იდეის ხორცშესხმაში ეჭვი შეეპარა და წინასწარ კომენტარის გაკეთება არ ისურვა, ილაპარაკებენ და დაიშლებიანო. ფიფას იმედი არ გაუმართლდა. კლუბებმა მოითათბირეს, ორგანიზაციული საკითხებიც განიხილეს და ახალი ლიგის შექმნის დროც დათქვეს — ორი წლის მერე პირველი ჩემპიონატიც ჩატარდება.

ახლა კი შეშფოთდა უეფა, თითქოს G-14-ით გამოწვეული თავისტკივილი არ ჰყოფნიდა, ახლა ატლანტიკური ლიგაც დაემატა. მოკლედ მიხვდა, რომ მართვის სადავეები ხელიდან ეცლებოდა. ჰოდა, გუშინწინ უეფამ თავისი წარმომადგენლის, მაიკ ლის პირით ურჩებს შეუთვალა, განზრახვაზე ხელს თუ არ აიღებთ, ჩემპიონთა ლიგიდან მოგკვეთთ, ისე კი, ცხადია, თქვენი უფლებაა, სად და როგორ ითამაშებთო.

უეფას პოზიციამ კლუბები აღაშფოთა და გააოცა. „პსვ ეინდჰოვენის“ დირექტორმა პეტერ ფოსენმა თქვა — ვერ გაგვიგია, რას გვერჩიან, მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გვსურს, თორემ უეფას დაქვემდებარებიდან გამოსვლა გულშიც არ გაგვივლიაო.

ამ საკითხზე სასაუბროდ უეფას და კლუბების წარმომადგენლები მომავალ კვირაში შეიკრიბებიან.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# თურქებს ქაღალდი გაუთავდათ



ხორხე ბერმუდესი

**ბარიგების** დასრულებას წინ აღარაფერი ედგა — „ბოკა ხუნიორსის" კოლუმბიელი კაპიტანი ხორხე ბერმუდესი თურქულ „ბეშიქთაშში" 3,5 მილიონ დოლარად უნდა გადასულიყო. სრულიად უმნიშვნელო ფორმალობაღა იყო დარჩენილი, თურქებს ბუენოს აირესში საკონტროლო ფაქსი უნდა გაეგზავნათ, რომლითაც დაადასტურებდნენ, რომ სატრანსფერო თანხის გადასახდელად მზად იყვნენ.

„ბოკას" ფაქსი ხუთშაბათს უნდა მიეღო, მაგრამ სატელეფონო ხაზს სტამბოლიდან საჭირო ინფორმაცია არ მოჰყოლია.

არგენტინული კლუბის დირექტორმა მარსელო ლონდონმა ტრანსფერის ჩაშლა დაადასტურა და გაიხუმრა, ალბათ, თურქებს ფაქსის ქაღალდი გაუთავდათ, ახლის საყიდლად კი ფული არ ეყოთო. ბუენოს აიერესში გადაბარგების შემდეგ, 1997 წლიდან, მან ხუთი ჯილდო მოიხვეჭა, მათ შორის არგენტინის ჩემპიონობა, ლიბერტატორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები. გუშინ კი გავლენიანმა გაზეთმა „ელ პასმა" ის სამხრეთ ამერიკის „ოცნების გუნდში" შეიყვანა.

# ესენი: ბერლინი და მიუნხენი!

## ნუ დაჩაგრავთ პატარა „ბაიარენას"

**2006 წელს** გერმანიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას 16 ქალაქს სურს. მასპინძელი სტადიონების რაოდენობა განსაზღვრულია. პლანეტის უდიდესი საფეხბურთო ტურნირი კი 10-12 ქალაქში უნდა ჩატარდეს.

ამ დღეებში ფრანკფურტში მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის საგანგებო სხდომა გაიმართა, სადაც კანდიდატი სტადიონების ხელმძღვანელებს მოუსმინეს.

„საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ყველა ქალაქში დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. ძალისხმევას არავინ იშურებს და ჩვენს მოთხოვნებს ყველა ასრულებს" — აღნიშნა საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ჰორკსტ შმიდტმა ორსაათნახევრიანი სხდომის შემდეგ, რომელსაც პოლიტიკოსები და არქიტექტორებიც ესწრებოდნენ. შმიდტისავე თქმით, ყველა მხარემ სტადიონის გაფართოება-რეკონსტრუქციის მისაღები გეგმა წარმოადგინა.

ზაფხულამდე გერმანიის საფეხბურთო კავშირი საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით ახალ კრიტერიუმებს დაადგენს, რომლებიც შემდეგ კანდიდატი ქალაქების ხელმძღვანელებს გადაეცემა, მათ კი წაყენებული მოთხოვნები 15 დეკემბრამდე უნდა შეასრულონ.

როგორც ვარაუდობენ, გერმანიის საფეხბურთო კავშირი სტადიონებთან დაკავშირებით არჩევანს 2002 წლის მარტში გააკეთებს, შემდეგ კი შერჩეულ ქალაქებს ფიფაში რეკომენდაციას გაუწევს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მასპინძელი ქალაქების გამოცხადებას 2003 წელს აპირებს; თუმც გერმანელები აჩქარებენ, ჯობია, ყველაფერი 2002 წლის ზაფხულში გაირკვესო. ჯერ ერთი, არჩეული სტადიონების მოსამზადებლად უფრო მეტი დრო იქნება და მეორეც, უარყოფილი ქალაქის ხელმძღვანელობაც ზედმეტ ხარჯს მოერიდებაო.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის, ვოლფგანგ ნირსბახის თქმით, გერმანელები მიუკერძოებლად და ობიექტურად მიიღებენ გადაწყვეტილებას. თუმცა ნირსბახმა ისიც დასძინა, მსოფლიოს ჩემპიონატის გერმანიაში ჩატარება ბერლინისა და მიუნხენის გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნიაო. ამ აზრს სხვებიც იზიარებენ, ამიტომ ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ორი ქალაქის ვინაობა უკვე ცნობილია. თუმცა მიუნხენის რომელ სტადიონზე ჩატარდება მატჩები, უცნობია. „სარბიელის" მკითხველს კარგად ეხსომება, ამის გამო რომ ლამის დიდი სკანდალი აგორდა. „ოლიმპიაშტადიონის" სარეკონსტრუქციო გეგმა ბოლო მომენტში დაიწუნეს, მიუნხენს ამის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დარჩენა ემუქრებოდა, თუმცა ბოლოს ახალი სტადიონის აშენება გადაწყდა და თანხაც გამოიძებნა. როგორც ახლა გაირკვა, ეს ამბავი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. მავანთ უთქვამთ, ახლის აშენებას ისევ ძველის რეკონსტრუქცია სჯობსო. ასე რომ, რომელი სტადიონი იქნება მასპინძელი, ჯერაც არავინ იცის.

ყველაზე დიდი პრობლემის წინაშე კი ლევერკუზენელები დგანან. „ბაიარენა" თანამედროვედ მოწყობილი სარბიელი კი არის, მაგრამ მხოლოდ 22500 მაყურებელს იტევს. ფიფას კანონებით კი, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი სტადიონი არანაკლებ 40 ათას კაცს უნდა მასპინძლობდეს. გერმანიის საფეხბურთო კავშირი ლევერკუზენელებს თანადგომას დაჰპირდა, ჩვენ ჩვენსაც ვეცდებით, ფიფაში გიშუამდგომლებთ და ვთხოვთ, რომ თქვენთვის გამონაკლისი დაუშვან, ოღონდ მანამდე ჩვენი მოთხოვნები უნდა შეასრულოთო.

# სფორცას შავი ხუთშაბათი



ჩირიაკო სფორცა: რა ვქნა, რა ვუყო თავსაო...

**მიუნხენის** „ბაიერნის" ლიბეროს, ჩირიაკო სფორცას ბავარიულ კლუბში საქმეები აერია. შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი მალე შესაძლოა გუნდიდან დაითხოვონ. ხუთშაბათ დილით, ვარჯიშის შემდეგ სფორცა მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა თავისთან დაიბარა.

„მას პირისპირ შევხვდი და ვუთხარი, რომ შაბათს ვოლფსბურგში არ ითამაშებდა" — განუცხადა მწვრთნელმა ჟურნალისტებს, როცა ფეხბურთელთან საუბრის შესახებ დაეკითხნენ. ჰიცფელდმა არც ის დამალა, თუ რატომ აითვალწუნა 30 წლის მცველი. „ჩირიაკომ წინა ტურში „ბოხუმთან" ძალიან სუსტად ითამაშა, ამიტომ „ვოლფსბურგთან" მისი მინდორზე გაყვანა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია" — ახსნა თავისი გადაწყვეტილება „ბაიერნის" თავკაცმა.

სფორცა ბავარიულ კლუბში შარშან ზაფხულში გადავიდა. მიუნხენელებმა მის სანაცვლოდ 12,8 მილიონი გერმანული მარკა გადაუხადეს „კაიზერსლაუტერნს" და შენაძენი დიდად ეიმედებოდათ. „სფორცა ის ფეხბურთელია, რომელიც ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება. ვფიქრობ, იგი ბევრ პრობლემას მოგვიხსნის" — უთქვამს თავის დროზე ჰიცფელდს.

დაიწყო ბუნდესლიგა და გამოჩნდა, რომ არც ისე კარგად იყო საქმე, როგორც მწვრთნელებს ეგონათ. მატჩი მატჩს მისდევდა, სფორცა კი იმედებს ვერ ამართლებდა. და აი, შედეგიც.

„სფორცას შავი ხუთშაბათი გაუთენდა" — წერს გუშინდელი გერმანული გაზეთი „ბილდი". ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ შვეიცარიელის საქმე ძალიან ცუდადაა.

„ალბათ, მართლაც ასეა, რადგან ერთი თამაში ვის არ ჩაუგდია, თუმცა მწვრთნელებს ასე ხელაღებით არ უარყვიათ. თუნდაც იგივე „ბაიერნი" და მისი კაპიტანი შტეფან ეფენბერგი ავიღოთ, რომელმაც მიმდინარე სეზონში სულ ორი (თანაც ბოლო) მატჩი ჩაატარა ჩვეულად. მანამდე „ეფეს" კრიტიკა არ აკლდა, თუმცა მწვრთნელებს ამის გამო მასზე უარი არ უთქვამთ.

ახლა კი ჰიცფელდს უკვე სფორცას შემცვლელიც შეუგულებია. დღეს „ვოლფსბურგთან" გასვლით მატჩში შვეიცარიელის ფუნქციებს იენს იერემისი შეასრულებს და თუ დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართმევს თავს, მაშინ სფორცას, ალბათ, ახალი კლუბის მოძებნა მოუწევს.

„ჩვენ მისგან გაცილებით მეტს ვითხოვთ, ვიდრე იგი გუნდს აძლევს" — ამბობს ჰიცფელდი, რომელიც შვეიცარიის ნაკრებში 69-ჯერ ნათამაშევ ფეხბურთელს თავდაუზოგავი ვარჯიშისკენ მოუწოდებს.

სფორცა კი... „ჩემს მომავალზე ვერაფერს გეტყვით. ჭორია, თითქოს გუნდიდან წასვლას ვაპირებ. ამაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ, რომ დავაპირებ, მწვრთნელსა და პრეზიდენტსაც არ დავუმალავ" — ამბობს იგი.

„ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა კი მიუნხენურ „აბენდცაიტუნგს" განუცხადა: „სფორცას" თამაში უკმაყოფილების გრძნობას გვიტოვებს, მას ბევრი მუშაობა მართებს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად. თუ შეძლო ეს, ხომ კარგი, თუ არა და სეზონის შემდეგ კარგ ტრანსფერს გავუხერხებთ".

ჩირიაკო სფორცამ კარიერა შვეიცარიულ „ვოლენში" დაიწყო, მერე „არაუსა" და „გრასჰოპერის" მაისურა მოირგო, „გრასჰოპერიდან" გერმანულ „კაიზერსლაუტერნს" მიაშურა, რომელიც მალე მიუნხენის „ბაიერნზე" გაცვალა. დიდხანს ვერც იქ გაძლო და იტალიურ „ინტერში" გადავიდა, საიდანაც „კაიზერსლაუტერნში" დაბრუნდა. გასული ზაფხულიდან კი კვლავ „ბაიერნში" თამაშობს.

**მანო ოქროპირიძე**

## მსოფლიოს კლუბთა მეორე ჩემპიონატი

29 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ესპანეთის ორ ქალაქში, მადრიდსა და ლა კორუნიაში გაიმართება მსოფლიოს კლუბთა მეორე ჩემპიონატი.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში ვერ ითამაშებს შარშანდელი ჩემპიონი ბრაზილიური „კორინთიანსი". ევროპიდან ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი", უეფას თასის მფლობელი სტამბოლის „გალათასარაი" და ესპანეთის ჩემპიონი, ლა კორუნიას „დეპორტივო" ითამაშებენ.

ტურნირში მონაწილე 12 გუნდი სამ ჯგუფად დაიყოფა, თითოეულში 4-4. მატჩები გაიმართება მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე" და „ვისენტე კალდერონზე", აგრეთვე ლა კორუნიას „რიასორზე".

### მონაწილეები

| | |
|---|---|
| **აზია** | |
| ჯუბილო ივატა (იაპონია) | აზიის 1999 წლის სუპერთასის მფლობელი |
| ალ ჰილალი (საუდეთი) | აზიის 2000 წლის სუპერთასის მფლობელი |
| **აფრიკა** | |
| აკრა ჰართსი (განა) | აფრიკის 2000 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი |
| ზამალექი (ეგვიპტე) | აფრიკის 2000 წლის თასების თასის მფლობელი |
| **კონკაკაფი** | |
| ლოს ანჯელეს გალაქსი (აშშ) | კონკაკაფის 2000 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი |
| ოლიმპია (ჰონდურასი) | კონკაკაფის 2000 წლის ჩემპიონთა თასის ფინალისტი |
| **სამხრეთ ამერიკა** | |
| პალმეირასი (ბრაზილია) | ლიბერტადორესის თასის 1999 წლის მფლობელი |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | ლიბერტადორესის თასის 2000 წლის მფლობელი |
| **ოკეანეთი** | |
| ვოლონგონგ ვულვზი (ავსტრალია) | ოკეანეთის 2001 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი |
| **ევროპა** | |
| რეალი (ესპანეთი) | ევროპის 2000 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი |
| გალათასარაი (თურქეთი) | ევროპის 2000 წლის უეფას თასის მფლობელი |
| დეპორტივო (ესპანეთი) | ესპანეთის 2000 წლის ჩემპიონი |

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ჩემპიონმა „მონაკომ" არგენტინულ „სანტა ფესთან" შეთანხმებას მიაღწია და 20 წლის ცენტრალური მცველი კრისტიან პატინო სეზონის ბოლომდე იჯარით აიყვანა. ფრანგულ კლუბს უფლება აქვს, ფეხბურთელი, საბოლოოდ დაიტოვოს და მასთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმოს.

**ესპანური „მალაგას" ნახევარმცველი აჯულუ კუაე მშობლიურ განაში დაბრუნდა და სეზონის ბოლომდე „ჰართს ოფ ოკის" ღირსებას დაიცავს. აღსანიშნავია, რომ ეს კლუბი ამ ზაფხულში ესპანეთში დაგეგმილ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ითამაშებს. ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა მანამდე კუაე განურ გუნდში. ფეხბურთელი ბოლო ხანს „მალაგას" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და წასვლა ამჯობინა, ესპანური კლუბიც დათანხმდა, თუმცა მწვრთნელმა ხოაკინ პეირო ლუკასმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოსთვის 20 წლის კუაეს აუცილებლად დაიბრუნებს.**

**ფრანგულმა** „პარი სენ ჟერმენმა" მცველი ფაბრის კელბანი სეზონის ბოლომდე ბელგიურ „შარლერუაში" გაანათხოვრა. 22 წლის ფეხბურთელი პარიზული კლუბის შემადგენლობაში ბოლოს თითქმის არ გამოჩენილა და მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა მისი დროებით გაშვება არჩია. საფრანგეთის დედაქალაქში კი ესპანიოლელი ენრიკე დე ლუკასი გადავიდა. კატალონიური კლუბის მოთამაშე „პარკ დე პრენსზე" სეზონის ბოლომდე დარჩება. დე ლუკასი შემტევი ნახევარმცველია და ძირითადად მარჯვენა ფლანგზე თამაშობს.

**ესპანური „რეალის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფლავიო კონსეისაომ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო. გავიხსენოთ, რომ ახლა იგი დაშავებულია, ოპერაციაც კი გაუკეთეს და როგორც ვარაუდობენ, „სამეფო კლუბს" მარტის დასაწყისიდან დაეხმარება. ფეხბურთელი, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებშიც უთამაშია, მადრიდულმა კლუბმა სეზონის დაწყების წინ ქვეყნის ჩემპიონ „დეპორტივოდან" შეიძინა.**

**ფრანგულმა** პოლიციამ ქვეყნის მეოთხედივიზიონურ „ნიცაში" მოთამაშე არგენტინელი ემილიანო რომეის პასპორტზე გამოძიება წამოიწყო. პროკურორმა მოითხოვა, გამოარკვიონ, ყალბია თუ არა პასპორტი და რა პირობებშია იგი გაცემული. არგენტინელ ფეხბურთელს, რომელიც დეკემბრის შემდეგ არდადეგებს სამშობლოში ატარებდა, საფრანგეთში შესვლის დროს პრობლემა შეექმნა. მის დოკუმენტებში ხარვეზები აღმოაჩინეს. აქვე გეტყვით, რომ „ნიცაში" იგი 1999 წლიდან თამაშობს.

**ნიგერიელი მცველი ტარიბო ვესტი სანაკრებო შეკრებაზე იმყოფებოდა და თავის კლუბ „დერბი ქაუნთიში" დათქმულზე სამი დღით გვიან დაბრუნდა, თუმც, როგორც პრემიერლიგელები იუწყებიან, ამის გამო ფეხბურთელს არ დასჯიან. მწვრთნელი ჯიმ სმიტი შეხვდა ვესტს, რომელმაც მიზეზი აუხსნა — სამშობლოში მყოფ ნიგერიელს დედა გახდომია ავად და ბრიტანეთში ჩასვლა ამიტომ დააგვიანდა.**

**რუმინელ** მცველ დანიელ პროდანს, რომელიც კარგა ხანია, „გლაზგო რეინჯერსის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, კლუბმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა. „კონტრაქტი ვადამდე შემიწყვიტეს. მალე სხვა კლუბში გადავალ. არ გამოვრიცხავ, სამშობლოში დავბრუნდე" — განაცხადა პროდანმა, რომელიც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო, თუმც შემდეგ „რეინჯერსში" სერიოზული ტრავმა მიიღო და მინდორზე თითქმის აღარც გამოჩენილა.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა სერ ალექსი სად არის?

## საჩხლ-კარი თავს გვექცევაო, წუხს გარი ნევილი



ეს რქენა ენდი კოულს 50 ათასი გირვანქა დაუჯდა

**რაზე** შეიძლება წუხდეს ისეთი ცნობილი და წარმატებული კლუბის მოთამაშე, როგორიცაა „მანჩესტერ იუნაიტედი"? რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოიგეს; ხელფასები ზღაპრული აქვთ და მალე მთლად დაუჯერებელ თანხებს მიიღებენ. მაშ რაშია საქმე?

16 თვის მერე, ანუ მომავალი სეზონის ბოლოს „იუნაიტედის" სახელგანთქმული მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი მიატოვებს თანამდებობას, რომელიც 16 წლის განმავლობაში ეკავა. სწორედ ეს აშფოთებს ინგლისის ნაკრებისა და მანჩესტერელთა მარჯვენა მცველს გარი ნევილს.

„მას მერე, რაც 15 წლის გავხდი, სულ ფერგიუსონის გუნდში ვთამაშობ, ანუ მთელი პროფესიონალური კარიერა ერთი მწვრთნელის ხელში გავატარე. ასევე არიან ჩემი მეგობრებიც, რომელთაც სხვა მწვრთნელთან არასდროს უმუშავიათ: დევიდ ბექჰემი, რაიან გიგზი, პოლ სქოულზი, ნიკი ბათი და ჩემი ძმა ფილი. ჰოდა, დიდი შანსია, სერ ალექსის გადადგომას გუნდიდან 5-6 კაცის წასვლაც მოჰყვეს" — აცხადებს გარი.

მისი აზრით, თუ ეს მართლაც მოხდა, „მანჩესტერ იუნაიტედს" შესაძლოა იგივე დაემართოს, რაც ბოლო წლების „ლივერპულს": „80-იან წლებში „ლივერპულმა" ყველაფერი მოიგო, მაგრამ მერე საქმე უკუღმა წაუვიდა. არადა, ისიც ჩვენსავით ცნობილი და ბობოლა კლუბია, მაგრამ ვერცერთ ტურნირში ველარ იმარჯვებს".

25 წლის ნევილი ამბობს, რომ დიდი სიამოვნებით დაასრულებს კარიერას ფერგიუსონის ხელში. „ძალიან მსურს, რომ ის დარჩეს. ამაზე გუნდის არცერთი მოთამაშე იტყოდა უარს. ამ შემთხვევაში და იგივე შემადგენლობით ჩვენ კიდევ ხუთ-ექვს წელიწადს ვითამაშებთ დიდ დონეზე".

კი ბატონო, 16 წელი ერთ გუნდში ერთობ დიდი საქმეა, მაგრამ ნუთუ მართლაც ასეთ ზეგავლენას მოახდენს კლუბზე და მის ფეხბურთელებზე მწვრთნელის, თუნდაც დიადის, წასვლა? ამაზე გარი ნევილი ასე პასუხობს: „ფერგიუსონმა ყოველთვის იცის, რა, სად და როგორაა საჭირო. შესაბამისად, წლების მანძილზე ეს ყველაფერი ჩვენც ჩაგვინერგა. უბრალოდ რომ ვთქვათ, თითქოს დაგვაპროგრამა კიდეც. ასე რომ, რა მოხდება მისი გადადგომის შემდეგ, ძალიან ძნელი სათქმელია".

მოკლედ, სქოთი მწვრთნელი ხელქვეითთა დითირამბებს ისმენს, თუმცა არც ათას პრობლემაზე ფიქრი ავიწყდება. თუნდაც შუა კვირაში ენდი კოულის საქციელი ავიღოთ — ძირითადში ძლივს დაბრუნებულმა, ოპერაციაგადატანილმა ფორვარდმა „სანდერლენდთან" მატჩში იჩხუბა და მოქიშპე ალექს რაესთან ერთად მოედნიდან მიაბრძანეს, რისთვისაც ასოციაცია მალე სამმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოუწერს. შედეგად, კოული 25 თებერვალს „არსენალთან", 3 მარტს „ლიდსთან" და 17 მარტს „ლესტერთან" მატჩებს გააცდენს. „ასე არ უნდა მოქცეულიყო" — მოკლედ მოჭრა ფერგიუსონმა და მოჩხუბარი თავდამსხმელი 50 ათასი გირვანქით ანუ ორი კვირის ხელფასით დააჯარიმა.



მუდმივად „იუნაიტედში". დგანან: მარცხნიდან მეორე გარი ნევილი და ბოლოსწინა ნიკი ბათი; სხედან: მარცხნიდან მეორე დევიდ ბექჰემი და ბოლოსწინა პოლ სქოულზი

**გიგა ძოგახიძე**

# გვინდა ჩვენ ვიკა?!





ვიქტორია დევიდს და „ბაიერნს" პრობლემებს შეუქმნისო - ამტკიცებს ული ჰოენესი

**მიუნხენის** „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი ჟურნალისტებს შეხვდა და კლუბის მომავალზე ესაუბრა.

ხმა დაირხა, ბავარიელებს დევიდ ბექჰემის გადაბირება სურთო და, ცხადია, ჰიონესს ამის თაობაზეც ჰკითხეს. გმადლობთ, არ გვჭირდებაო, როგორმე უიმისოდაც კარგი გუნდი გვყავსო, უპასუხა ჰიონესმა. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ბექჰემი ჩამოვიყვანეთ, მას, ცხადია, ცოლიც, ვიქტორია ადამსიც ჩამოჰყვება და რეპორტიორები გასაქანს არ მისცემენ. ჰოდა, რად გვინდა ჩვენ უსარგებლო ხმაური, რომელიც ფეხბურთელს ყურადღებას სხვა რამეზე გადაატანინებსო. ბექჰემს ერთი შეუმჩნეველი კაცის ყოლა გვირჩევნია ვილსოფენიდანო, დაუმატა ჰიონესმა. განვმარტოთ, რომ ვილსოფენი პატარა გერმანული ქალაქია, სადაც „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილი წევრი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კლაუს აუგენტალერი დაიბადა და იქიდან დაიწყო ტრიუმფალური სვლა.

ჰიონესის თქმით, კლუბს სულ სხვა მიზნები აქვს და ამჟამად ორი ან სამი გამოცდილი მოთამაშის დამატებაზე ფიქრობს. საერთოდ კი, ოთხ წელიწადში სრულიად ახალი გუნდის შექმნას აპირებს, რომელსაც ძველი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ეყოლება. მწვრთნელს გაქცევაზე თუ უჭირავს თვალი, იმ გუნდში საქმე წამხდარიაო, აღნიშნა ჰიონესმა. მწვრთნელი ალექს ფერგიუსონივით კლუბის ერთგული უნდა იყოს და ჰიცფელდიც სწორედ ასეთი კაციაო.

# ვან ბასტენი: ბასტა!

**გულშემატკივარი** გაიხსენებს — 1993 წლის 26 მაისს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონის" გასახდელში კოჭმტკივან მარკო ვან ბასტენს ტკივილგამაყუჩებლის დიდი დოზა გაუკეთეს და ჩემპიონთა ლიგის პირველ ფინალში მარსელის „ოლიმპიკის" წინააღმდეგ სათამაშოდ შეუშვეს.

წამლებით გაბრუებული ლეგენდარული მილანელი მარსელ დესაის წიხლებს ვერ გრძნობდა და თამაშობდა, თუმცა ბოლოს მაინც შესაცვლელი შეიქნა. ფაბიო კაპელომ ჰოლანდიელის ნაცვლად სტეფანო ერანიო გაიყვანა მინდორზე, რომელიც ახლა „დერბი ქაუნთიშია".

ფინალი დასრულდა, „მილანმა" თასი „ოლიმპიკს" დაუთმო, ხოლო ვან ბასტენი კინაღამ ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. მას კოჭი დამსხვრეოდა.

მას მერე მარკო ვან ბასტენი პლატინის (ოღონდ არა მიშელ პლატინის) კოჭით დაიარება და მთელ დროს გოლფის თამაშს უთმობს.

გულშემატკივარი გაოცდება, მარკო ვან ბასტენმა კარიერა რვა წლის წინ დაასრულა და სათაური ცოტა მოძველებული ხომ არ არისო.

საქმე ის გახლავთ, რომ ვან ბასტენმა ამას წინათ, მეგობარსა და პარტნიორს გოლფში გერტ იან ბაკერს გაუმხილა, რამდენი წელი გავიდა და მინდორზე დარბუნების სურვილი არ მასვენებს, თან სპორტულ ფორმასაც შევინარჩუნებო. ცხადია, აქ დიდ ფეხბურთზე არაა ლაპარაკი, რომლიდანაც იგი 27 წლისა წავიდა.

ბაკერი მოცალეობის ჟამს თამაშობს გოლფს, თორემ ისე სამოყვარულო საფეხბურთო გუნდ „ნოორდვიკში" მასაჟისტად მუშაობს. ჰოდა, მივიდა მწვრთნელთან, რუუდ ბრორინგთან და უთხრა, ერთი ჩემი ძმაკაცია, მარკო ვან ბასტენი და გუნდში თუ აიყვანო. რატომღაც, რომ ეყოყმანა!

მოკლედ, გადაირია კაცი, თამაშის წინ გასახდელში შესული ვან ბასტენის დანახვაზე ენა მუცელში ჩაუვარდა და დაბნეულმა ფეხბურთელების დამოძღვრა ველარ შეძლო.

მარკოს რა დამოძღვრა უნდოდა, გავიდა და ორი გოლიც გაიტანა. თქმაც არ უნდა, თამაშმა ზღვა ხალხი და არანაკლებ რაოდენობით ჟურნალისტი მიიზიდა, თუმცა...

ტრავმამ, რომელმაც რვა წლის წინ დიდი ჰოლანდიელი პროფესიულ ფეხბურთს ჩამოაშორა, კვლავ იჩინა თავი. ექიმები მას რა ხანია, ეუბნებოდნენ, შენი ფეხისთვის ოდნავი დატვირთვაც არ შეიძლება, თორემ სამუდამოდ ხეიბრად დარჩებიო. ასე რომ, მარკო ვან ბასტენი ფეხბურთიდან მეორედ, უკვე სამუდამოდ წავიდა.



მარკო ვან ბასტენი დაბრუნდა და წავიდა

**გიორგი დარჯანია**

# ღმერთო, ჰფარვიდე „ნიუკასლს"



**ხვალ** ინგლისურ პრემიერლიგაში ერთი გამორჩეული მატჩია: ჩრდილო-აღმოსავლური ჯაზი და ერთ-ერთი ცნობილი დერბი — „ნიუკასლი" „სანდერლენდის" წინააღმდეგ. „სენტ ჯეიმზის პარკის" საპატიო სტუმართა ლოჟაში, სხვათა გვერდით, 47 წლის ჯოზეფაც იჯდება. „მისი შრომა შეუფასებელია" — ამბობს „ნიუკასლის" თავმჯდომარე ფრედი შეფერდი.

რით დაიმსახურა ამ ადამიანმა ასეთი პატივი? იმით, რომ ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის ფეხბურთის გუნდი ჩაიბარა. ეგ კი არა, ბავშვებს ისე უყვართ ახალი მწვრთნელი, სკოლაში დილაუთენია მოდიან და გაკვეთილების დაწყებამდეც ასწრებენ მასთან ბურთის გაგორებას. „ფეხბურთი უზომოდ მიყვარს და როცა „სენტ ვინსენტის" სკოლის მწვრთნელი სხვა სამსახურში წავიდა, შანსი ხელიდან არ გავუშვი და გუნდი ჩავიბარე" — ამბობს... მონაზონი ჯოზეფა.

დიახ, და ჯოზეფა მთელი ცხოვრება ღმერთისა და „ნიუკასლის" ერთგულია, სათაყვანებელ გუნდზე უამრავი სიმღერა აქვს დაწერილი და როგორც მისი კოლეგები ხუმრობენ, მხოლოდ მშობლიური „იუნაიტედის" ფერებს — შავსა და თეთრს ცნობს. ახლა კი ჯორდთა უპირველესი გუნდისთვის ღირსეული ცვლის მომზადებასაც მიჰყო ხელი...



ნიუკასლის „სენტ ვინსენტის" სკოლაში დილა ფეხბურთის თამაშით იწყება

## ჰოლანდია

### XIX ტური

**გრააფშხაპი 1:3 აიაქსი**

1:0 ვისკაალი (12), 1:1 არველაძე (28), 1:2 მახლასი (45), 1:3 ვან დერ ვაარტი (58)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი, პასანენი, კოფუ, კ. კანუ, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, ვან დერ მეიდე (კრუზი 74), ვამბერტო (ვან დერ გუნი 67), შ. არველაძე, მახლასი

მწვრთნელი: კო ადრიანსე

11 000 მაყურებელი

## გერმანია

### თასის ნახევარფინალის წილისყრა

6 თებერვალს: უნიონ ბერლინი (მოყვ.) — მიონხენგლადბახი (II)

7 თებერვალს: შტუტგარტი — შალკე

## საბერძნეთი

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

I მატჩები

7 თებერვალს: ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი; პანილიაკოსი — აპოლონი (II)

21 თებერვალს: პაოკ — ქსანტი; პანაჰაიკი — ირაკლისი

II მატჩები

7 მარტს: ქსანტი — პაოკ; აპოლონი (II) — პანილიაკოსი

14 მარტს: ირაკლისი — პანაჰაიკი

21 მარტს: პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

I მატჩი

**უდინეზე 2:1 პარმა**

0:1 ამოროზო (6), 1:1, 2:1 მარჯოტა (75, 90)

უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი (მარჯოტა 64), ფიორე, ჯანიკედა, ვალემი (ალბერტო 74), დიასი, იორგენსენი (გაარდე 82), სოსა

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

პარმა: ბუარდალბენი, ტორიზი, ტურამი, ფ. კანავარო, ფალსინი, ფუზერი (სერჟიო კონსეისაუ 46), ბოლანო, ლამუში, მიკუ, მბომა, ამოროზო (დი ვაიო 88)

მწვრთნელი: ფრანკო კარმინანი (თანაშემწე)

გაფრთხილება: დიასი, ამოროზო, ფალსინი

5 000 მაყურებელი

## თურქეთი

### თასის მეოთხედფინალი

**ანკარაგიუჯიუ 1:3დ.დ.(1:1) ფენერბაჰჩე**

1:0 ფარუკი (44), 1:1, 1:2 სერჰათი (65, 118), 1:3 ალი გიუნეში (120)

**ტრაბზონი 1:4 გალათასარაი**

0:1 ემრე (5), 1:1 ჰამი (6), 1:2 ნიკოლოვსკი (41ს.კ.), 1:3 ემრე (67), 1:4 დავალა უმითი (85)

**ისთანბული 0:3 ბეშიქთაში**

0:1 აჰმეთი (4), 0:2 იბრაჰიმი (84), 0:3 თუნჯაი (90)

**გენჩლერი 4:2დ.დ.(2:2) ძოჯაელი**

1:0, 2:0 უმით ქარანი (50, 75), 2:1 დობრა (80), 2:2 სერდარი (82), 3:2 უმით ქარანი (98), 4:2 ქონა (110)